



საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო

# ადგილისტრატეგიული რეკონსტრუქციის გამოყენება საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის ანგარიშებისთვის

(საბოლოო ანგარიში)

2022 წლის თებერვალი

## **კვლევის ავტორები**

გიგი ჩიხლაძე

თამთა კახიძე

## **კვლევის თანაავტორი და ხელმძღვანელი**

ლევან ნატროშვილი

ამ ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, USAID-ის მეშვეობით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის ანდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



<b>I. ძირითადი მიგნებები</b>	5
<b>II. რეკომენდაციები</b>	10
<b>III. შესავალი</b>	12
<b>IV. რას გულისხმობს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნით</b>	13
<b>V. აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება</b>	15
1. სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ძალადობა, მუქარა, გენოლა, სამსახურიდან გათავისუფლება და მათზე სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება	15
2. ცენტრალური საარჩევნო კომისიის პროფესიული ნიშნით ასარჩევი წევრების შესარჩევი პროცესი	17
3. არჩევნების დღეს და მის შემდეგ შედგენილი საჩივრების განხილვა	18
4. საარჩევნო უბნების შედეგების გადათვლის პროცესი	19
5. ახლად არჩეული საკრებულოების პირველი სხდომების დანიშვნა	20
<b>VI. სამართლებრივი ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება</b>	22
<b>VII. ინსტიტუციური ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება</b>	23
<b>VIII. ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება</b>	25
<b>დანართი #1. დეტალური ინფორმაცია სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ძალადობის, მუქარის, გენოლის, სამსახურიდან გათავისუფლებისა და მათზე სამართალდამცავი ორგანოების რეაგირების შესახებ</b>	26
1. ფიზიკური ძალადობა	26
2. სამსახურიდან გათავისუფლება ან სამსახურიდან წასვლის მოთხოვნა	27
3. სავარაუდო გენოლა შემოწირულების მიღების მიზნით	30

4. დარეგისტრირებულ კანდიდატებზე ბენოლა	30
5. ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერის დაკავება	32
6. საარჩევნო კომისიის წევრზე ბენოლა	33
<b>დანართი #2. ინფორმაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ წარმოებული საარჩევნო დავების შესახებ</b>	34
1. არჩევნების პირველი ტური	34
2. არჩევნების მეორე ტური	35
<b>დანართი #3. ცესკოს მიერ საკრებულოების პირველი სხდომების მონვევის დეტალური ანალიზი</b>	37
<b>დანართი #4. პრობლემური საკანონმდებლო ცვლილებების დეტალური ანალიზი</b>	39
1. საარჩევნო კოდექსში შეტანილი პრობლემური ცვლილებები	39
2. პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსებასთან დაკავშირებით კანონში განხორციელებული ცვლილებები	41
<b>დანართი #5. საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა საარჩევნო შეხვედრებისთვის მობილიზების, ჩართვისა და სამსახურებრივი ნიშნით შეკრების შემთხვევები</b>	43
<b>დანართი #6. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საარჩევნოდ მოტივირებული პროგრამებისა და ინიციატივების სია</b>	46

# I. ქირითაღი მიგნება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთაარჩევნებზედაკვირვებამჩვენა, რომსაარჩევნოდადმინისტრაციულირესურსების გამოყენება საქართველოსთვის კვლავ პრობლემურია. მნიშვნელოვან გამოწვევებს შორის აღსანიშნავია: ა) საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებზე პოლიტიკური ნიშნით განხორციელებული ზენოლის, სამსახურიდან გათავისუფლების და ოპოზიციური პარტიების კანდიდატების შევიწროების სავარაუდო შემთხვევების არაეფექტიანი გამოძიება; ბ) საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოების პოლიტიკების მაღალი ხარისხი და მათ მიერ საარჩევნო დავების არაეფექტიანად და არაკეთილსინდისიერად წარმართვა; გ) როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურების პოლიტიკება და მმართველი პარტიის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა საარჩევნო კამპანიაში მასშტაბური ჩართვა; დ) საბიუჯეტო პროგრამების ვინროპარტიული მიზნით გამოყენება და სხვა.

## აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება

- 2021 წლის ივნისიდან რეგულარულად ვრცელდებოდა ინფორმაცია საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას მიერ შექმნილი პარტიის „საქართველოსთვის“ მხარდამჭერების საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების ან/და მათზე განხორციელებული ზენოლის ფაქტების შესახებ. აგვისტო-ოქტომბერში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ არაერთი მსგავსი ფაქტი შეისწავლა - **17 პირის** შემთხვევაში გამოიკვეთა პოლიტიკური ნიშნით შევიწროების გარკვეული ნიშნები. ზოგიერთმა დაზარალებულმა საკუთარი ინტერესების დაცვა სასამართლოს გზით სცადა, მათ შორის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოც“ იცავდა 4 პირის ინტერესებს, თუმცა სასამართლოებში საქმეთა უმრავლესობა კვლავ განუხილველია;
- სექტემბრის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადა ამოიწურა, არაერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტია საუბრობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სხვა უწყებების მხრიდან საარჩევნო სიებში მათი კანდიდატების მიმართ განხორციელებული ზენოლის სავარაუდო ფაქტების შესახებ, რომლის მთავარი მიზანი, მათი აზრით, მმართველ პარტიისთვის კონკურენტების ჩამოშორება იყო. ასეთი ცნობების სიმრავლით პარტია „საქართველოსთვის“ გამოირჩეოდა, რომლის წარმომადგენლების განცხადებით, ასპინძაში, ახალქალაქში, ახმეტაში, ახალციხეში, მარნეულში, ყაზბეგში, ხელვაჩაურში, თეთრიწყაროში, წალენჯიხაში, ტყიბულში, ნინოწმინდაში, ადიგენში, კასპში, წყალტუბოში **22** ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მსგავს შემთხვევებზე საუბრობდნენ პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლებისა“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებლის“ წარმომადგენლებიც. თუმცა, მათი თქმით, რეგისტრაციიდან მოხსნილ პირებს შიშის გამო საუბარი და ასეთი ფაქტების დადასტურება არ სურდათ, შესაბამისად, მათიზუსტირაოდენობისდადგენაშეუძლებელიიყო. აჭარაშიპარტია „საქართველოსთვის“ ორმა კანდიდატმა და სამტრედიიაში „მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთმა კანდიდატმა ისაუბრა მხოლოდ საჯაროდ მათზე განხორციელებულ ზენოლაზე, თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამ პირებმა გამოკითხვის დროს უარყვეს ზენოლის ფაქტი. ზოგიერთ საარჩევნო ოლქში საკმარისი კანდიდატების არარსებობის გამო პარტიული სიების გაუქმების საშიშროება გაჩნდა. ამ საფრთხეზე ადეკვატური

რეაგირება ჰქონდა ცესკოს, რომელმაც 7 სექტემბერს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი განცხადებით კანდიდატურების მოხსნის გამო პარტიულ სიაში არსებულ კანდიდატთა რაოდენობა პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები იქნებოდა, პარტიული სიის რეგისტრაცია აღარ გაუქმდებოდა;

- სექტემბრის მეორე ნახევარსა და ოქტომბერში დმანისსა და რუსთავში სამი ძალადობრივი ინციდენტი დაფიქსირდა, რომლის დროსაც დაზიანებები მიაყენეს ოპოზიციური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს. პოლიციამ დმანისის შემთხვევაში მოძალადე მალევე დააკავა, რუსთავში მომხდარ ფაქტებზე დაიწყო გამოძიებები;
- აგვისტოში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამცხე-ჯავახეთში მხარის რწმუნებულმა, სუს-ის და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სამხარეო ხელმძღვანელებმა ადგილობრივ ბიზნესმენებს სავარაუდოდ დაავალეს მმართველი პარტიის სასარგებლოდ თანხის შეწირვა. გადამონშების შედეგად აღმოჩნდა, რომ 2-16 აგვისტოს პერიოდში მმართველ პარტიას სამცხე-ჯავახეთიდან 87-მა ფიზიკურმა და 5-მა იურიდიულმა პირმა ჯამში 714,000 ლარი შესწირა. ასეთ მოკლე დროში ერთი გეოგრაფიული არეალიდან განხორციელებული შემოწირულობების ეს ოდენობა საკმაოდ უჩვეულოა და შესაძლოა, წარმოადგენდეს გავრცელებული ინფორმაციის არაპირდაპირ მტკიცებულებას. გარდა ამისა, 4 სექტემბერს ტელეკომპანია „პირველის“ ეთერშიც გავიდა სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც, ჟურნალისტებთან საუბარში შემომწირველების ნაწილმა, ფაქტობრივად, დაადასტურა, ზემოთ ნახსენები შეხვედრები და გარემოებები. განხორციელებული შემოწირულობების კანონიერება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, რომლის ინფორმაციითაც, დარღვევა არ გამოვლენილა. თუმცა ამ შემთხვევაში აშკარად გამოკვეთილი იყო სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. მიუხედავად ამისა, ჩვენი ინფორმაციით, პროკურატურას გამოძიება არ დაუწყია;
- ოქტომბრის ბოლოს, არჩევნების მეორე ტურის წინ, ხობში სპეცოპერაციის შედეგად, საკუთარ სახლში დააკავეს შსს-ს ყოფილი თანამშრომელი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი ლექსო რაფავა, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა ან შენახვის ბრალი წარუდგინეს. ოპოზიციურ პარტიაში დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს ქმედება პოლიტიკურ დევნას წარმოადგენდა;
- 1 ნოემბერს, არჩევნების მეორე ტურის მეორე დღეს, ქუთაისის საარჩევნო ოლქის 90-ე საარჩევნო უბნის ერთ-ერთმა წევრმა, იზა ჩირგაძემ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ქუთაისი მერობის კანდიდატთან ერთად ბრიფინგი გამართა და მასზე „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენლების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლაზე ისაუბრა. ბრიფინგის ჩატარებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში ჩირგაძე გაუჩინარდა და კომუნიკაცია შეწყვიტა როგორც მედიასთან, ისე სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან. მოგვიანებით ჩირგაძემ მედიას კომენტარი მისცა და უარყო მასზე რაიმე სახის ზეწოლის განხორციელების ფაქტი;
- არჩევნებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის ნიშნების შემცველ სავარაუდო ფაქტებზე საგამოძიებო უწყებების მიერ მიღებული ზომების, მათ შორის დაწყებული გამოძიებების შესახებ სრული ინფორმაცია არც შინაგან საქმეთა სამინისტროს და არც გენერალურ პროკურატურას არ გავრცელებია. სამინისტრომ მხოლოდ არჩევნების

დღეს მომხდარ ფაქტებზე და გამოძიებებზე არსებული მოკლე ინფორმაცია წარადგინა, თუმცა საზოგადოებისთვის არ უცნობებია სხვა პერიოდში მომხდარი ფაქტების გამოძიების მიმდინარეობასა და შედეგებზე. არჩევნებში ჩართულ მხარეებს ცალკეული ინფორმაციის მიღების საშუალება იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილი „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი“ კომისიის სხდომებზე ჰქონდათ. კერძოდ, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები არჩევნებთან დაკავშირებულ პოტენციურ დარღვევებზე საპასუხოდ მათ მიერ მიღებულ ზომებზე უწყებათაშორის კომისიას აწვდიდნენ ინფორმაციას. არც უწყებათაშორის კომისიას წარუდგენია ანგარიში საკუთარი საქმიანობის შესახებ;

- ივნისსა და ივლისში ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და ორი ახალი წევრის შერჩევის პროცესი მიმდინარეობდა. შერჩევის ყველა ეტაპი ისე წარიმართა, რომ მმართველმა პარტიამ უბრალო საპარლამენტო უმრავლესობით თანამდებობებზე მისთვის სასურველი ისეთი კანდიდატურები დაამტკიცა, რომლებსაც ოპოზიციის მხარდაჭერა არ ჰქონდათ;
- 2021 წლის საარჩევნო რეფორმის ფარგლებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებების საარჩევნო საჩივრების ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობა იყო. ამ რეფორმის შედეგად, ჩართულ მხარეებს მნიშვნელოვნად გაუიოლდათ საარჩევნო დავების წარმოება. თუმცა, მთლიანობაში საარჩევნო დავების განხილვის კუთხით კვლავ ბევრი პრობლემა გამოიკვეთა როგორც არჩევნების პირველი, ისე მეორე ტურის დროს. ზოგიერთ შემთხვევაში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საარჩევნო კომისიები და სასამართლოები საქმეზე ჭეშმარიტების დადგენით არ იყვნენ დაინტერესებული და ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც დარღვევის ამსახველი ვიზუალური მტკიცებულება არსებობდა, ისინი არ იღებდნენ შესაბამის გადაწყვეტილებას, რამაც მთლიანად სისტემის პოლიტიკების მაღალი ხარისხი გამოკვეთა;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სულ ორივე არჩევნებზე ჯამში **107** საჩივარი/სარჩელი შეიტანა სხვადასხვა დონის საარჩევნო კომისიასა და ინსტანციის სასამართლოში. მათგან **17** დაკმაყოფილდა, ხოლო **14** საჩივარი, რომლითაც შემაჯამებელ ოქმში მნიშვნელოვანი დისბალანსების გამო შედეგების ხელახალ გადათვლას ვითხოვდით, საოლქო საარჩევნო კომისიებს სხვა ორგანიზაციების საჩივრების ფარგლებში ან შემთხვევითი შერჩევით უკვე ჰქონდა გადათვლილი. **76** საჩივარი/სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საჩივრებისა და სარჩელების განხილვის ხარისხი არჩევნების პირველი ტურის დროს უარესი იყო, ვიდრე მეორე ტურისას;
- 2021 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით, საარჩევნო კომისიებს გაუჩნდათ ვალდებულება ხელახლა გადაეთვალიათ ზოგიერთი საარჩევნო უბნის შედეგები. არჩევნების პირველი ტურის შემდგომ დღეებში საოლქო საარჩევნო კომისიებმა მთლიანობაში **812** უბანზე გადათვალეს მონაცემები, ეს კი საარჩევნო უბნების საერთო რაოდენობის დაახლოებით **22%** იყო. რაც შეეხება მეორე ტურს, 30 ოქტომბრის შემდეგ სულ გადაითვალა **274** უბნის შედეგი, რაც უბნების საერთო რაოდენობის დაახლოებით **15%** იყო. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ პირველი ტურის დროს გადათვლას არ დაჰკვირვებია, ხოლო მეორე ტურის შემდეგ 6 მუნიციპალიტეტში მიაღწენა ამ პროცესს თვალის. ორგანიზაციის მონიტორებმა არაერთი ხარვეზი თუ შეგნებული დარღვევა გამოავლინეს დაკვირვების პროცესში. კერძოდ, ზოგიერთ ოლქში კონფლიქტური გარემო იყო და დაკვირვებლებს არ ეძლეოდათ პროცესზე ზედამხედველობის საშუალება; რამდენიმე ოლქში ბიულეტენების გადათვლის პროცესს,

კანონის მოთხოვნის მიუხედავად, სათანადოდ არ აღბეჭდავდნენ ვიდეოკამერაზე; თითოეულ კომისიაში ყველა უბნის გადათვლა პარალელურად ხდებოდა, რაც დაკვირვების პროცესს ართულებდა; არცერთ ოლქში არ გახსნილა სამაგიდო სიები და არ გადათვლილა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა, ანუ კომისიებმა მხოლოდ ბიულეტენები გადათვალეს; ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ კი ხმები ბიულეტენების დასტების გახსნის გარეშე გადათვალა;

- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მთელი ქვეყნის მასშტაბით საკრებულოების პირველი სხდომები ერთსა და იმავე დღეს 3 დეკემბერს დანიშნა, რის შედეგადაც, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მეორე ტურები არ გამართულა და არჩევნების საბოლოო შედეგები 16 ოქტომბერს შეჯამდა, პირველის სხდომის დანიშვნისთვის კანონით დადგენილი 30 დღიანი ვადა გაშვებულ იქნა, რაც კანონის დარღვევას წარმოადგენს. გარდა ამისა, იმ მუნიციპალიტეტებშიც კი სადაც მეორე ტური ჩატარდა და არჩევნების შედეგები 13 ნოემბრამდე შეჯამდა, არაგონივრული იყო ხანგრძლივი ლოდინი და პირველი სხდომების 3 დეკემბერს დანიშვნა. ასეთი გადაწყვეტილებები, ასევე, ეწინააღმდეგებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წინა ორ ადგილობრივ არჩევნებზე დადგენილ პრაქტიკას. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ კომისიამ ეს გადაწყვეტილება ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ კონტექსტს მოარგო და საკრებულოების პირველი სხდომების გვიანი ჩანიშნით მმართველი პარტიის კონტროლირებად ძველ საკრებულოებს შესაძლებლობა მისცა, შემდეგი წლის ბიუჯეტი ახლის შეკრებამდე დაემტკიცებინათ.

### **სამართლებრივი ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება**

- 2021 წლის 28 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საარჩევნო კოდექსში ცვლილებები, რომელთა მიზანია საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესება იყო. სამუშაო პროცესი რამდენიმე თვეს გაგრძელდა და დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში, ასევე, აისახა პოლიტიკურ პარტიებს შორის 2021 წლის 19 აპრილს გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებებიც. პოლიტიკური ცვლილებებთან ერთად, კანონში შევიდა რამდენიმე ისეთი უარყოფითი დებულება, რამაც რეფორმის მნიშვნელობა დააკნინა და მმართველი პარტიის ინტერესებს მოარგო. კერძოდ, ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების შერჩევის პროცესში გათვალისწინებულმა დროებითმა რეგულაციამ საპარლამენტო კენჭისყრებს შორის ვადები შეამცირა, რითაც შესაძლებელი გახდა, მმართველ პარტიას ოპოზიციასთან შეთანხმების გარეშე დაემტკიცებინა სასურველი კანდიდატები. კიდევ რამდენიმე დროებითმა რეგულაციამ კი ორ ოპოზიციურ პარტიას უსამართლოდ ჩამოართვა საარჩევნო კომისიებში წევრების დანიშვნის უფლება;
- „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ კანონშიც განხორციელდა ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც, „საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ“, რომელმაც საპარლამენტო მანდატზე უარი თქვა, სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება დაკარგა. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკანონმდებლო ცვლილება ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა უარყოფითად შეაფასა.

### **ინსტიტუციური ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება**

- საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირები მმართველი პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრებს აქტიურად ესწრებოდნენ. ეს შემთხვევები საყურადღებოა იმ გარემოების



გამო, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები ამა თუ იმ ფორმით პოლიტიკური თანამდებობის პირებზე სამსახურებრივად დაქვემდებარებული არიან, შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ისინი საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მონაწილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში. ამით შესაძლოა ირღვეოდეს საარჩევნო კოდექსის ის ჩანაწერი, რომელიც „კრძალავს სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმას ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას“. საარჩევნო კამპანიისთვის საჯარო მოსამსახურეთა მსგავსი კონცენტრაცია, კანონის პირდაპირი დარღვევაც რომ არ იყოს, მინიმუმ იგი ხელს უწყობს საჯარო სამსახურის უკიდურეს პოლიტიზებას, რაც მიუღებელია;

- გამოვლინდა სამსახურებრივი ნიშნით ზოგიერთ საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომლებთან სააგიტაციო შეხვედრების ორგანიზების სავარაუდო შემთხვევები, რაც ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით კანონდარღვევას წარმოადგენს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ 5 ასეთ შემთხვევაზე შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას საჩივრითაც მიმართა, რომელთაგან მხოლოდ ერთი დაკმაყოფილდა, რომელიც ობურგეთის მერობის დამოუკიდებელ კანდიდატს ეხებოდა.

### **ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება**

- საქართველოს საარჩევნო კოდექსი კრძალავს არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელებას, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ასევე, იგივე პერიოდში აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდა. საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა ცენტრალური ან ადგილობრივ ბიუჯეტის ისეთი ცვლილება, რომლითაც დაირღვეოდა საარჩევნო კოდექსის ზემოთ აღნიშნული რეგულაცია;
- საანგარიშო პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ 17 სახელმწიფო პროგრამა/ინიციატივა გამოარჩია, რომელიც საარჩევნოდ მოტივირებულ ხარჯებად შეიძლება იყოს მიჩნეული.

## II. რეკომენდაციები

- საარჩევნო პერიოდში საგამოძიებო ორგანოებმა მაქსიმალურად სწრაფად და მიუკერძოებლად უნდა გამოიძიონ არჩევნებში ჩართული მხარეების წინააღმდეგ მიმართული სავარაუდო ძალადობის, გენოლის და სხვა დანაშაულის ნიშნების შემცველი საქმეები;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო პროაქტიულად და ოპერატიულად უნდა აქვეყნებდეს ინფორმაციას, არჩევნებთან დაკავშირებულ საქმეებზე გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ;
- საარჩევნოდ დარეგისტრირებულ კანდიდატებზე გენოლის მოხდენის საფრთხის შესამცირებლად სასურველია, საარჩევნო კოდექსში შევიდეს ცვლილება და კანდიდატთა დარეგისტრირების ბოლო ვადის გასვლის შემდეგ (არჩევნებამდე არაუგვიანეს 30-ე დღე) წარმდგენი პარტიის თანხმობის გარეშე აღარ იყოს შესაძლებელი, როგორც პარტიული ისე მაჟორიტარობის კანდიდატთა სიიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება;
- საოლქო საარჩევნო კომისიებში არჩევნების შედეგების გადათვლის პროცესი მეტ რეგულირებას საჭიროებს;
- პირველ რიგში, მოწესრიგებული არ არის ამ პროცესში დაინტერესებული პირის მხრიდან საჩივრის შედგენის პროცედურა, რაც დადგენილებით უნდა დარეგულირდეს;
- ასევე, დადგენილებით უნდა განისაზღვროს ვალდებულება, რომ კომისიამ გადათვალოს საარჩევნო უბნიდან შემოსული საარჩევნო დოკუმენტაცია სრულად, მათ შორის სამაგიდო სიების ჩათვლით, და არა მხოლოდ ნამდვილი და ბათილი ბიულეტენები;
- ცალსახად და არაორაზროვნად უნდა განისაზღვროს საექვო ბიულეტენთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღების წესი, რათა აღმოიფხვრას არაერთგვაროვანი მიდგომის საფრთხე;
- ოლქებში უბნების პარალელურად დათვლის პრაქტიკა გადასახედა, რადგან ამ შემთხვევაში მცირდება პროცესზე სრულყოფილად დაკვირვების შესაძლებლობა.
- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საკრებულოების პირველი სხდომები უნდა მოიწვიოს არჩევნების შეჯამებიდან რაც შეიძლება სწრაფად და კანონით დადგენილი ვადებში, რათა კანონი არ დაირღვეს და არ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ კომისია გადანყვეტილებებს პოლიტიკური მოტივებით იღებს;
- პოლიტიკურმა პარტიამ არ უნდა დაკარგოს კუთვნილი სახელმწიფო დაფინანსება იმისდა მიუხედავად, იგი საპარლამენტო მანდატებს გამოიყენებს თუ არა, ვინაიდან პარტიის დაფინანსება მის მიერ არჩევნებზე მიღებულ შედეგებზე უნდა იყოს დამოკიდებული და არა - საპარლამენტო საქმიანობაზე;
- პარტიებმა თავი უნდა შეიკავონ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების საარჩევნო აგიტაციაში მათი ნების საწინააღმდეგოდ ჩართვისგან;

- საჭიროა გაფართოვდეს იმ პირთა წრე, რომლებიც მოექცევიან საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლი 1-ი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში, რითაც იკრძალება სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას. კანონმა მაქსიმალურად უნდა მოიცვას ყველა ის თანამდებობის პირი, რომელიც საბიუჯეტო ორგანიზაციაში არის დასაქმებული და აქვს გარკვეული ბერკეტები სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გავლენა მოახდინოს ადამიანების ნების თავისუფალ გამოვლენაზე.
- ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე მასშტაბური სოციალური პროგრამების ინიცირებისგან, რათა ზიანი არ მიაღგეს საარჩევნო სუბიექტებს შორის ჯანსაღ კონკურენციას.

### III. შესავალი

2021 წლის 2 ოქტომბერს (პირველი ტური) და 30 ოქტომბერს (მეორე ტური) საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები ჩატარდა, რომლის მეშვეობითაც 64 მუნიციპალიტეტში მერები და საკრებულოს წევრები აირჩიეს. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად 42-მა პოლიტიკურმა პარტიამ და 72 საინიციატივო ჯგუფმა გაიარა რეგისტრაცია.

საარჩევნო პროცესებზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა, როგორც წესი, ადმინისტრაციული (სახელმწიფო) რესურსების გამოყენებას აქვს. ეს გავლენა იმდენად დიდი შეიძლება იყოს, რომ, ფაქტობრივად, არჩევნების შედეგებიც კი განსაზღვროს. ეს არის რესურსი, რომელიც ქვეყნის ყველა მოქალაქეს ეკუთვნის, განურჩევლად მისი პოლიტიკური გემოვნებისა. აქედან გამომდინარე, მისი ვინროპარტიული მიზნებით გამოყენება დაუშვებელია და ასეთი შემთხვევების შეზღუდვას ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ამ საკითხს უკვე მრავალი წელია იკვლევს. 2021 წლის სექტემბრის ბოლოს ორგანიზაციამ გამოაქვეყნა შუალედური ანგარიში<sup>1</sup>, რომელშიც ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების პირველი ტურის წინ შეფასდა. ამჯერად გთავაზობთ საბოლოო ანგარიშს, რომელიც სრულ საარჩევნო პერიოდს მოიცავს.

საქართველოს კანონმდებლობით, მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნები შესაბამისი წლის ოქტომბრის პირველ შაბათ დღეს უნდა გაიმართოს. ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდი არჩევნების დღემდე 60 დღიან პერიოდს მოიცავს. შესაბამისად, პრეზიდენტმა 2 აგვისტოს გამოსცა განკარგულება N02/08/01<sup>2</sup> 2 ოქტომბერს არჩევნების დანიშვნის შესახებ, საიდანაც დაიწყო ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის ათვლა, ასევე, ამ დღიდან ამოქმედდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც აკტივაციისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საკითხებს აწესრიგებს. თუმცა, ვინაიდან სახელმწიფო რესურსები ოფიციალური საარჩევნო კამპანიის დაწყებამდეც შეიძლება იქნეს საარჩევნო მიზნით გამოყენებული, კვლევის საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2020 წლის 1 ივნისიდან საკრებულოების პირველი სხდომების გამართვამდე (3 დეკემბერი) არსებულ დროის შუალედს, ასევე, ანგარიშში აღწერილი რამდენიმე შემთხვევა უფრო ადრეც არის მომხდარი.

ამ პერიოდში ორგანიზაცია აღნუსხავდა ყველა შემთხვევას, რომლის დროსაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა საარჩევნო მიზნით ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას ან მისი მსგავსი ეფექტის მქონე ქმედებას. ეს ფაქტები შესწავლილი და გადამოწმებული იქნა ორგანიზაციის იურისტების და 9 გრძელვადიანი რეგიონული დამკვირვებლის მიერ. იურისტების მიერ გადამოწმებულ იქნა რელევანტური შემთხვევების ქართულ საარჩევნო კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

ანგარიშში თავდაპირველად განმარტებულია ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენების არსი და ტიპები. მომდევნო ოთხი თავი და დანართები 2021 წლის მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების შესაძლო გამოყენების ზოგად ტენდენციებსა და კონკრეტულ შემთხვევებს მიმოიხილავს.

1 ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებისთვის (შუალედური ანგარიში), „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 28.09.2021: <https://cutt.ly/vi0ihBa>

2 საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 2 აგვისტოს N02/08/01 განკარგულება; ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/QE1zk7V>

# IV. რას გულისხმობს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნით

ადმინისტრაციული რესურსის დამისის საარჩევნო მიზნით გამოყენების ზუსტი დასაყოველთაოდ მიღებული დეფინიცია არც ქართულ და არც საერთაშორისო კანონმდებლობაში არ არსებობს, თუმცა ამ საკითხს არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი ეხება და ცდილობს მასთან დაკავშირებით გარკვეული სახის ერთგვაროვანი მიდგომა ჩამოაყალიბოს. ამ დოკუმენტებისა და მეცნიერთა მოსაზრებების ანალიზზე დაყრდნობით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ადმინისტრაციული რესურსების შემდეგ კატეგორიებს იყენებს<sup>3</sup>:

<b>ცხრილი 1. ადმინისტრაციული რესურსების სახეობები და საარჩევნოდ მათი გამოყენების მაგალითები</b>	
<b>ადმინისტრაციული რესურსის ტიპი</b>	<b>არსი</b>
აღსრულებითი	პოლიტიკური ოპონენტების, მათი მხარდამჭერებისა და ამომრჩევლების წინააღმდეგ სახელმწიფოს აღსრულებითი, მათ შორის ძალადობრივი, მექანიზმების შერჩევითად გამოყენება. მაგალითად, პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაკავება, დაშინება, ცემა, მუქარა, სამსახურიდან გათავისუფლება და სხვა სახის ზეწოლა.
სამართლებრივი (საკანონმდებლო და მარეგულირებელი)	საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების რომელიმე პარტიის ან კანდიდატის საარჩევნო ინტერესების სასარგებლოდ/საწინააღმდეგოდ გამოყენება. მაგალითად, კანონის მიღება, რომელიც უპირატეს მდგომარეობაში აყენებს რომელიმე პარტიას.
ინსტიტუციური	სახელმწიფო ინსტიტუტების ადამიანური და არაფულადი რესურსის, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ან/და მის მფლობელობაში მყოფი მედია და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება რომელიმე პარტიის ან კანდიდატის საარჩევნო აქტივობების ხელშეწყობის ან ხელშეშლისთვის
ფინანსური	ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ფულადი რესურსების მიმართვა რომელიმე პარტიის ან კანდიდატის საარჩევნო აქტივობების ხელშეწყობისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ვიწროდ განმარტავს ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენებას და ხშირ შემთხვევაში ბევრი საკითხი რეგულირების გარეშე რჩება. კერძოდ, ადმინისტრაციულმა ორგანომ

3 Abuse of state resources: a brief introduction to what it is, how to regulate against it and how to implement such resources, Magnus Ohman, IFES, July 2021: [https://www.ifes.org/sites/default/files/georgia\\_abuse\\_of\\_state\\_resources\\_july\\_2011\\_0.pdf](https://www.ifes.org/sites/default/files/georgia_abuse_of_state_resources_july_2011_0.pdf)

შეიძლება განახორციელოს რიგი ქმედებები, რითაც იგი კანონს არ დაარღვევს, თუმცა მის მიერ საზოგადოებისთვის განუული კონკრეტული სიკეთეები შეიძლება ისეთი სახით იქნეს მიწოდებული, რომ მას დიდი გავლენა ჰქონდეს ამომრჩევლის ნებაზე. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, რთულად გასაგლებია ზღვარი სახელმწიფოსა და პარტიას შორის, რასაც ეუთოს<sup>4</sup> 1990 წლის კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტი<sup>5</sup> ითხოვს.

აქედან გამომდინარე, როდესაც ვსაუბრობთ ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენებაზე, მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ უშუალოდ ქართული კანონმდებლობის დარღვევა, არამედ კოპენჰაგენის დოკუმენტის სულისკვეთებისა და საყოველთაოდ აღიარებული საარჩევნო პრინციპების წინააღმდეგ მიმართული ქმედებებიც.

---

4 ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

5 ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტი:  
<http://www.osce.org/odihr/elections/14304>

## 1. სავანაულო პოლიტიკური ნიშნით ქადაგობა, მუქანა, ზენოლა, სამსახურიდან მათავისუფლება და მათზე სამართადამსავი ორგანოების ჩაბიჩინება

2021 წლის განმავლობაში რეგულარულად ვრცელდებოდა ინფორმაცია საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარისა მიერ შექმნილი პარტიის „საქართველოსთვის“ მხარდამჭერების საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით მათავისუფლების ან/და მათზე განხორციელებული ზენოლის ფაქტების შესახებ. გახარამ, რომელიც 2021 წლის თებერვალში თანამდებობიდან გადადგა, პარტიის პრემიერაცია მაისის ბოლოს გამართა, ხოლო ივნისის ბოლოს იგი ოფიციალურად დარეგისტრირდა პოლიტიკურ გაერთიანებად. ყოფილი პრემიერ-მინისტრის პოლიტიკურ გუნდში არაერთი მოქმედი ან ახლად გადამდგარი სახელმწიფო თანამდებობის პირი და საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომელი განვერიანდა. აგვისტო-ოქტომბერში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ არაერთი ფაქტი შეისწავლა და 17 პირის შემთხვევაში გამოიკვეთა პოლიტიკური ნიშნით შევიწროების გარკვეული ნიშნები. ზოგიერთმა დაბარალეულმა საკუთარი ინტერესების დაცვა სასამართლოს გზით სცადა, მათ შორის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოც“ იცავდა 4 პირის ინტერესებს, თუმცა სასამართლოებში საქმეთა უმრავლესობა კვლავ განუხილველია.

სექტემბრის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადა ამოიწურა, არაერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტია საუბრობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა (სუს) და სხვა უწყებების მხრიდან მათ საარჩევნო სიებში მყოფი პირების მიმართ განხორციელებული ზენოლის სავარაუდო ფაქტების შესახებ, რომლის მთავარი მიზანი, მათი აზრით, ამ გზით მმართველი პარტიისთვის კონკურენტების ჩამოშორება იყო. ასეთი ცნობების სიმრავლით პარტია „საქართველოსთვის“ გამოირჩეოდა, რომლის წარმომადგენლების განცხადებით, ასპინძაში, ახალქალაქში, ახმეტაში, ახალციხეში, მარნეულში, ყაზბეგში, ხელვაჩაურში, თეთრიწყაროში, წალენჯიხაში, ტყიბულში, ნინოწმინდაში, ადიგენში, კასპში, წყალტუბოში 22 ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მსგავს შემთხვევებზე საუბრობდნენ პარტია „გირჩი-მეტი თავისუფლებისა“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებლის“ წარმომადგენლებიც. თუმცა, მათი თქმით, რეგისტრაციიდან მოხსნილ პირებს შიშის გამო საუბარი და ასეთი ფაქტების დადასტურება არ სურდათ, შესაბამისად, მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელი იყო. მხოლოდ აჭარაში პარტია „საქართველოსთვის“ ორმა კანდიდატმა და სამტრედიიაში „მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთმა კანდიდატმა საჯაროდ ისაუბრა მასზე განხორციელებულ ზენოლაზე, თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) ინფორმაციით, ამ პირებმა გამოკითხვის დროს უარყვეს ზენოლის ფაქტი. გაჩნდა საშიშროება, რომ ზოგიერთ საარჩევნო ოლქში საკმარისი კანდიდატების არარსებობის გამო პარტიული სიები გაუქმებულიყო. ამ საფრთხეზე ადეკვატური რეაგირება ჰქონდა ცესკოს, რომელმაც 7 სექტემბერს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი განცხადებით კანდიდატურების მოხსნის გამო პარტიულ სიაში არსებულ კანდიდატთა რაოდენობა პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები იქნებოდა, პარტიული სიის რეგისტრაცია აღარ გაუქმდებოდა.

სექტემბრის მეორე ნახევარსა და ოქტომბერში დმანისსა და რუსთავში სამი ძალადობრივი ინციდენტი დაფიქსირდა, რომლის დროსაც დაზიანებები მიაყენეს ოპოზიციური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს. პოლიციამ დმანისის შემთხვევაში მოძალადე მალევე დააკავა, რუსთავში მომხდარ ფაქტებზე დაიწყო გამოძიებები.

აგვისტოში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამცხე-ჯავახეთში მხარის რწმუნებულმა, სუს-ის და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სამხარეო ხელმძღვანელებმა ადგილობრივ ბიზნესმენებს სავარაუდოდ დაავალეს მმართველი პარტიის სასარგებლოდ თანხის შეწირვა. გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ 2-16 აგვისტოს პერიოდში მმართველ პარტიას სამცხე-ჯავახეთიდან 87-მა ფიზიკურმა და 5-მა იურიდიულმა პირმა ჯამში 714,000 ლარი შესწირა. ასეთ მოკლე დროში ერთი გეოგრაფიული არეალიდან განხორციელებული შემოწირულებების ეს ოდენობა საკმაოდ უჩვეულოა და შესაძლოა, წარმოადგენდეს გავრცელებული ინფორმაციის არაპირდაპირ მტკიცებულებას. გარდა ამისა, 4 სექტემბერს ტელეკომპანია „პირველი“ ეთერშიც გავიდა სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც, ჟურნალისტებთან საუბარში შემომწირველების ნაწილმა, ფაქტობრივად, დაადასტურა, ზემოთ ნახსენები შეხვედრები და გარემოებები. განხორციელებული შემოწირულებების კანონიერება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, რომლის ინფორმაციითაც, დარღვევა არ გამოვლენილა. თუმცა ამ შემთხვევაში ამკარად გამოკვეთილი იყო სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. მიუხედავად ამისა, ჩვენი ინფორმაციით, პროკურატურას გამოძიება არ დაუწყია.

ოქტომბრის ბოლოს, არჩევნების მეორე ტურის წინ, ხობში სპეცოპერაციის შედეგად, საკუთარ სახლში დააკავეს შსს-ს ყოფილი თანამშრომელი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი ლექსო რაფავა, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა ან შენახვის ბრალი წარუდგინეს. ოპოზიციურ პარტიაში დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს ქმედება პოლიტიკურ დევნას წარმოადგენდა.

1 ნოემბერს, არჩევნების მეორე ტურის მეორე დღეს, ქუთაისის საარჩევნო ოლქის 90-ე საარჩევნო უბნის ერთ-ერთმა წევრმა, იზა ჩირგაძემ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ქუთაისი მერობის კანდიდატთან ერთად ბრიფინგი გამართა და მასზე „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენლების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლაზე ისაუბრა. ბრიფინგის ჩატარებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში ჩირგაძე გაუჩინარდა და კომუნიკაცია შეწყვიტა როგორც მედიასთან ისე სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან. მოგვიანებით ჩირგაძემ მედიას კომენტარი მისცა და უარყო მასზე რაიმე სახის ზეწოლის განხორციელების ფაქტი.

არჩევნებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის ნიშნების შემცველ სავარაუდო ფაქტებზე საგამოძიებო უწყებების მიერ მიღებული ზომების, მათ შორის დაწყებული გამოძიებების შესახებ სრული ინფორმაცია არც შსს-ს და არც გენერალურ პროკურატურას არ გავრცელებია. შსს-მ მხოლოდ არჩევნების დღეს მომხდარ ფაქტებზე და გამოძიებებზე არსებული მოკლე ინფორმაცია წარადგინა<sup>6</sup>, თუმცა საზოგადოებისთვის არ უცნობებია სხვა პერიოდში მომხდარი

6 შსს-მ გაავრცელა ინფორმაცია არჩევნების დღეს, როგორც პირველ, ისე მეორე ტურზე მომხდარ კანონდარღვევებზე რეაგირების შესახებ, იხილეთ ბმულები: „შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია საარჩევნო პროცესში გამოვლენილ კანონდარღვევებთან დაკავშირებით“, 3.10.2021, <https://bit.ly/3Gx4gzL>; „შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია არჩევნების მე-2 ტურის მიმდინარეობის დროს გამოვლენილი კანონდარღვევებისა და მათზე პოლიციის მიერ მომხდარი რეაგირების შესახებ“, 30.10.2021, <https://bit.ly/31FYqxx>



ფაქტების გამოძიების მიმდინარეობასა და შედეგებზე. არჩევნებში ჩართულ მხარეებს ცალკეული ინფორმაციის მიღების საშუალება იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილი „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი“ კომისიის სხდომებზე ჰქონდათ. კერძოდ, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები არჩევნებთან დაკავშირებულ პოტენციურ დარღვევებზე საპასუხოდ მათ მიერ მიღებულ ზომებზე უწყებათაშორის კომისიას აწვდიდნენ ინფორმაციას. არც უწყებათაშორის კომისიას წარუდგენია ანგარიში საკუთარი საქმიანობის შესახებ (სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ძალადობის, მუქარის, ბენოლის, სამსახურიდან გათავისუფლება და მათზე სამართალდამცავი ორგანოების რეაგირების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ **დანართში #1**).

**რეკომენდაციები**

- საარჩევნო პერიოდში საგამოძიებო ორგანოებმა მაქსიმალურად სწრაფად და მიუკერძოებლად უნდა გამოიძიონ არჩევნებში ჩართული მხარეების წინააღმდეგ მიმართული სავარაუდო ძალადობის, ბენოლის და სხვა დანაშაულის ნიშნების შემცველი საქმეები;
- შსს პროაქტიულად და ოპერატიულად უნდა აქვეყნებდეს ინფორმაციას არჩევნებთან დაკავშირებულ საქმეებზე გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ;
- საარჩევნოდ დარეგისტრირებულ კანდიდატებზე ბენოლის მოხდენის საფრთხის შესამცირებლად სასურველია, სამომავლოდ საარჩევნო კოდექსში შევიდეს ცვლილება და კანდიდატთა დარეგისტრირების ბოლო ვადის გასვლის შემდეგ (არჩევნებამდე არაუგვიანეს 30-ე დღე) წარმდგენი პარტიის თანხმობის გარეშე აღარ იყოს შესაძლებელი, როგორც პარტიული, ისე მაჟორიტარობის კანდიდატთა სიიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება.

## 2. **ხენსიალური საარჩევნო კომისიის პროფესიული ნიშნით ასარჩევი წევრების შესარჩევი პროცესი**

ივნისსა და ივლისში ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) თავმჯდომარისა და ორი ახალი წევრის შერჩევის პროცესი მიმდინარეობდა. შერჩევის ყველა ეტაპი ისე წარიმართა, რომ მმართველმა პარტიამ უბრალო საპარლამენტო უმრავლესობით თანამდებობაზე მისთვის სასურველი ისეთი კანდიდატურები დაამტკიცა, რომლებსაც ოპოზიციის მხარდაჭერა არ ჰქონდათ.

უფრო კონკრეტულად, 2021 წლის ივლისში ცესკოს თავმჯდომარისა და ორი წევრის პოზიციების დასაკომპლექტებლად პრეზიდენტმა საკონკურსო კომისია შექმნა 11 ადამიანის შემადგენლობით. კომისიის 5 წევრი მოწვეულ იქნა 5 შესაბამისი გამოცდილების და ავტორიტეტის არასამთავრობო ორგანიზაციიდან, ხოლო 6 წევრი - უნივერსიტეტებიდან.<sup>7</sup> საზოგადოებისთვის გაუგებარი დარჩა, თუ რა კრიტერიუმებით შეარჩია პრეზიდენტმა უნივერსიტეტების წარმომადგენლები. 6 წევრიდან 3 ერთუნივერსიტეტს წარმოადგენდა, მაშინ

<sup>7</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატთა შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარებისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 16 ივლისის N01/07/01 განკარგულება, <https://bit.ly/2XB7nFM>

როდესაც კომისიაში მინჯული სხვა ორგანიზაციებიდან და უნივერსიტეტებიდან თითო წევრი მონაწილეობდა პროცესში და რამდენიმე დიდი საჯარო და კერძო უნივერსიტეტი საერთოდ არ ყოფილა წარმოდგენილი. გარდა ამისა, ზოგიერთი პროფესორის სპეციალიზაცია ახლოსაც არ იყო არათუ არჩევნებთან, არამედ პოლიტიკურ მეცნიერებებთანაც კი. შედეგად, კომისიამ პრეზიდენტისთვის ისეთი 7 კანდიდატის წარდგენას დაუჭირა მხარი, რომელთა უმრავლესობას საარჩევნო საკითხებზე მომუშავე წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხმა არ მისცეს. პრეზიდენტმა შემოთავაზებული 7 კანდიდატიდან 6 წარუდგინა პარლამენტს.

საბოლოოდ, საპარლამენტო უმრავლესობამ სამივე ვაკანსიაზე ისეთ კანდიდატურებს დაუჭირა მხარი, რომელთაც საპარლამენტო ოპოზიციის მხარდაჭერა არ ჰქონდათ. სამივე კანდიდატი ცესკოს მოქმედი თანამშრომელი იყო, რომელთაც გასაუბრების დროს ძალიან გაუჭირდათ ცესკოს წარსული საქმიანობის კრიტიკულად შეფასება.<sup>8</sup> ოპოზიციის მხარდაჭერის ვერმოპოვების და სამი კენჭისყრის წარუმატებლად დასრულების შემდეგ, 2 აგვისტოს პარლამენტმა უბრალო უმრავლესობით ეს 3 კანდიდატი 6 თვის ვადით აირჩია, რითაც დადასტურდა ის ვარაუდი, რომ მმართველ პარტიას არ სურდა სხვა პარტიებთან კომპრომისზე წასულიყო და ცესკოს ისეთი თავმჯდომარე და წევრები აერჩია, ვისაც ფართო საზოგადოებრივი ნდობა ექნებოდა.

### 3. არჩევნების დღეს და მის შემდეგ შედგენილი საჩივრების განხილვა

2021 წლის საარჩევნო რეფორმის ფარგლებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები საარჩევნო საჩივრების ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობა იყო. ამ რეფორმის შედეგად, ჩართულ მხარეებს მნიშვნელოვნად გაუიოლდათ საარჩევნო დავების წარმოება. თუმცა, მთლიანობაში საარჩევნო დავების განხილვის კუთხით კვლავ ბევრი პრობლემა გამოიკვეთა როგორც არჩევნების პირველი, ისე მეორე ტურის დროს. ზოგიერთ შემთხვევაში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საარჩევნო კომისიები და სასამართლოები საქმეზე ჭეშმარიტების დადგენით არ იყვნენ დაინტერესებული და ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც დარღვევის ამსახველი ვიზუალური მტკიცებულება არსებობდა, ისინი არ იღებდნენ შესაბამის გადაწყვეტილებას, რამაც მთლიანად სისტემის პოლიტიკების მაღალი ხარისხი გამოკვეთა.

ცესკოს ინფორმაციით, საარჩევნო პერიოდში ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში ჯამში **2,967** საჩივარი დარეგისტრირდა, რომლის დაახლოებით **66%** არ დაკმაყოფილდა, **15%** ტექნიკური მიზეზების გამო განუხილველად იქნა დატოვებული, ხოლო **18%** სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.<sup>9</sup>

რაც შეეხება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ საარჩევნო კომისიებსა და სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში წარდგენილი საჩივრებსა და სარჩელებს, 2 ოქტომბრიდან მოყოლებული ორივე არჩევნებზე ჯამში **107** საჩივარი/სარჩელი შევიტანეთ. მათგან **17** დაკმაყოფილდა, ხოლო **14** საჩივარი, რომლითაც შემაჯამებელ ოქმებში მნიშვნელოვანი დისბალანსების გამო შედეგების ხელახალ გადათვლას ვითხოვდით, საოლქო საარჩევნო კომისიებს სხვა ორგანიზაციების საჩივრების

8 იხ. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი, <https://bit.ly/3u1zLgi>

9 „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში (2 აგვისტო - 13 ნოემბერი), გვ. 78-79, 2021 წლის დეკემბერი, ცესკო: <https://cutt.ly/0IMnNlj>

ფარგლებში ან შემთხვევითი შერჩევით უკვე ჰქონდა გადათვლილი. **76** საჩივარი/სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საჩივრებისა და სარჩელების განხილვის ხარისხი არჩევნების პირველი ტურის დროს უარესი იყო, ვიდრე მეორე ტურისას.

უფრო კონკრეტულად, 2 ოქტომბერს დამომდევნო დღეებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ საარჩევნო კომისიებში **42 საჩივარი** დანერგა, საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში **7 სარჩელი** შეიტანა, ხოლო **4 შემთხვევაში** პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. საბოლოოდ, აქედან საოლქო საარჩევნო კომისიებმა და სასამართლოებმა დააკმაყოფილეს **4 საჩივარი** და **2 სარჩელი**, ხოლო **5** საჩივარი, რომლითაც შემაჯამებელ ოქმში მნიშვნელოვანი დისბალანსების გამო შედეგების ხელახალ გადათვლას ვითხოვდით, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შემთხვევითი შერჩევით უკვე იყო გადათვლილი. მთლიანობაში, საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ არც ერთი მნიშვნელოვანი საჩივარი/სარჩელი არ დაუკმაყოფილებიათ.

30 ოქტომბრის არჩევნების დღეს და მის შემდეგ ორგანიზაციამ საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში **54 საჩივარი / სარჩელი** შეიტანა, რომელთაგან **34** არ დაკმაყოფილდა, **11** - დაკმაყოფილდა (მათ შორის 5 შედეგების გადათვლას ეხებოდა), ხოლო **9** საჩივარი, რომლითაც შემაჯამებელ ოქმში მნიშვნელოვანი დისბალანსების გამო შედეგების ხელახალ გადათვლას ვითხოვდით, საოლქო საარჩევნო კომისიებმა სხვა ორგანიზაციების საჩივრების ფარგლებში ან შემთხვევითი შერჩევით გადათვალეს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს ორივე ინსტანციაში შეტანილი 11 სარჩელი/საჩივრიდან მხოლოდ ერთი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. საბოლოოდ, პირველ ტურთან შედარებით, დავების განხილვის პროცესი უფრო მშვიდ გარემოში წარიმართა, თუმცა, ამჯერადაც სასამართლოები საქმეებს მეტწილად არასრულყოფილად განიხილავდნენ. საოლქო საარჩევნო კომისიების ნაწილი კი დავებს ფორმალისტურად უდგებოდა და საქმის გარემოებების შესწავლისა და ფაქტების დადგენის ინტერესი არ ჰქონდა (დეტალური ინფორმაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ წარმოებული საარჩევნო დავების შესახებ იხილეთ **დანართში #2**).

#### 4. საარჩევნო უბნების შედეგების გარათვისის პროცესი

2021 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით, საარჩევნო კომისიებს გაუჩნდათ ვალდებულება ხელახლა გადაეთვალოთ ზოგიერთი საარჩევნო უბნის შედეგები, ვინაიდან 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ეს საკითხი პრობლემურად იქნა მიჩნეული. ამ ცვლილებით, ყველა საოლქო საარჩევნო კომისია ორ შემთხვევაში არის ვალდებული გახსნას საარჩევნო უბნიდან მიღებული დოკუმენტაცია და გადათვალოს ხელახლა: ა) შემთხვევითი შერჩევის წესით უნდა გამოავლინოს ხუთი უბანი და გადათვალოს შედეგები თავიდან; ბ) თუ საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში ისე არის მონაცემები შესწორებული, რომ არ ახლავს შესწორების ოქმი, ამ უბნის მონაცემების გადათვლაც სავალდებულოა.

არჩევნების პირველი ტურის შემდგომ დღეებში საოლქო საარჩევნო კომისიებმა მთლიანობაში **812** უბანზე გადათვალეს მონაცემები, ეს კი საარჩევნო უბნების საერთო რაოდენობის დაახლოებით **22%** იყო. რაც შეეხება მეორე ტურს, 30 ოქტომბრის შემდეგ სულ გადაითვალა **274** უბნის შედეგი, რაც უბნების საერთო რაოდენობის დაახლოებით **15%** იყო.<sup>10</sup>

10 იქვე, გვ. 18-19

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ პირველი ტურის დროს გადათვლის პროცესს არ დაჰკვირვებია, ხოლო მეორე ტურის შემდეგ 6 მუნიციპალიტეტში მიაღწევს ამ პროცესს თვალი. ორგანიზაციის მონიტორინგმა არაერთი ხარვეზი თუ შეგნებული დარღვევა გამოავლინეს დაკვირვების პროცესში. კერძოდ, ზოგიერთ ოლქში კონფლიქტური გარემო იყო და დამკვირვებლებს არ ეძლეოდათ პროცესზე ზედამხედველობის საშუალება; რამდენიმე ოლქში ბიულეტენების გადათვლის პროცესს, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, სათანადოდ არ აღბეჭდავდნენ ვიდეოკამერაზე; თითოეულ კომისიაში ყველა უბნის გადათვლა პარალელურად ხდებოდა, რაც დაკვირვების პროცესს ართულებდა; არცერთ ოლქში არ გახსნილა სამაგიდო სიები და არ გადათვლილა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა, ანუ კომისიებმა მხოლოდ ბიულეტენები გადათვალეს; ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ კი ხმები ბიულეტენების დასტების გახსნის გარეშე გადათვალა. გარდა ამისა, განსხვავებული პრაქტიკა დაფიქსირდა საექვოდ მიჩნეული ბიულეტენზე გადაწყვეტილების მიღების საკითხზე. კომისიების ნაწილში გადაწყვეტილება ასეთ ბიულეტენებზე მთვლელებმა მიიღეს ადგილზე კენჭისყრით, ხოლო ნაწილში მეორე დღეს, საოლქო საარჩევნო კომისიებმა.

**რეკომენდაციები**

- საოლქო საარჩევნო კომისიებში არჩევნების შედეგების გადათვლის პროცესი მეტ რეგულირებას საჭიროებს::
  - პირველ რიგში, მონესრიგებული არ არის ამ პროცესში დაინტერესებული პირის მხრიდან საჩივრის შედგენის პროცედურა, რაც დადგენილებით უნდა დარეგულირდეს;
  - ასევე, დადგენილებით უნდა განისაზღვროს ვალდებულება, რომ კომისიამ გადათვალოს საარჩევნო უბნიდან შემოსული საარჩევნო დოკუმენტაცია სრულად, მათ შორის სამაგიდო სიების ჩათვლით, და არა მხოლოდ ნამდვილი და ბათილი ბიულეტენები;
  - ცალსახად და არაორაზროვნად უნდა განისაზღვროს საექვოდ ბიულეტენთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების წესი, რათა აღმოიფხვრას არაერთგვაროვანი მიდგომის საფრთხე;
  - ოლქებში უბნების პარალელურად დათვლის პრაქტიკა გადასახედია, რადგან ამ შემთხვევაში მცირდება პროცესზე სრულყოფილად დაკვირვების შესაძლებლობა.

**5. ახლად არჩეული საჩივრების პირველი სტრუქტურის დანიშვნა**

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს პირველ სხდომას ინვესტ ცესკო არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში.<sup>11</sup> პირველი სხდომის მოწვევა პირდაპირ არის დაკავშირებული ახლად არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობასთან და, შესაბამისად, ძველი მოწვევის საკრებულოსათვის უფლებამოსილების შეწყვეტასთან.

11 საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის 151-ე მუხლი

ცესკომ მთელი ქვეყნის მასშტაბით საკრებულოების პირველი სხდომები ერთსა და იმავე დღეს, 3 დეკემბერს დანიშნა, რის შედეგადაც, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მეორე ტურები არ გამართულა და არჩევნების საბოლოო შედეგები 16 ოქტომბერს შეჯამდა, გემოალინიშნული 30 დღიანი ვადა გაშვებულ იქნა, რაც თავის მხრივ კანონის დარღვევას წარმოადგენს. გარდა ამისა, იმ მუნიციპალიტეტებშიც კი, სადაც მეორე ტური ჩატარდა და არჩევნების შედეგები 13 ნოემბრამდე შეჯამდა, არაგონივრული იყო ხანგრძლივი ლოდინი და პირველი სხდომების 3 დეკემბერს დანიშნა. ასეთი გადაწყვეტილებები, ასევე, ეწინააღმდეგებოდა ცესკოს მიერ წინა ორ ადგილობრივ არჩევნებზე დადგენილ პრაქტიკას. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ცესკომ ეს გადაწყვეტილება ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ კონტექსტს მოარგო და საკრებულოების პირველი სხდომების გვიანი ჩანიშვნით მმართველი პარტიის კონტროლირებად ძველ საკრებულოებს შესაძლებლობა მისცა, შემდეგი წლის ბიუჯეტი დაემტკიცებინათ (დეტალური ანალიზი იხილეთ **დანართში #3**).

### რეკომენდაციები

- ცესკომ საკრებულოების პირველი სხდომები უნდა მოიწვიოს არჩევნების შეჯამებიდან რაც შეიძლება სწრაფად და კანონით დადგენილ ვადებში, რათა კანონი არ დაირღვეს და არ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ კომისია გადაწყვეტილებებს პოლიტიკური მოტივებით იღებს.

# VI. საპარტიო-პოლიტიკური უარყოფითი ეფექტების საარჩევნო მიზნით გამოყენება

2021 წლის 28 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საარჩევნო კოდექსში ცვლილებები, რომელთა მიზანია საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესება იყო. სამუშაო პროცესი რამდენიმე თვეს გაგრძელდა და დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში, ასევე, აისახა პოლიტიკურ პარტიებს შორის 2021 წლის 19 აპრილს გაფორმებული შეთანხმებით<sup>12</sup> გათვალისწინებული დებულებებიც. პოზიტიური ცვლილებებთან ერთად, კანონში შევიდა რამდენიმე ისეთი უარყოფითი დებულება, რამაც რეფორმის მნიშვნელობა დააკნინა და მმართველი პარტიის ინტერესებზე მოარგო. კერძოდ, ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების შერჩევის პროცესში გათვალისწინებულმა დროებითმა რეგულაციამ საპარლამენტო კენჭისყრებს შორის ვადები შეამცირა, რითაც შესაძლებელი გახდა, მმართველ პარტიას ოპოზიციასთან შეთანხმების გარეშე დაემტკიცებინა სასურველი კანდიდატები. კიდევ რამდენიმე დროებითმა რეგულაციამ კი ორ ოპოზიციურ პარტიას („საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ და „საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას“) უსამართლოდ ჩამოართვა საარჩევნო კომისიებში წევრების დანიშვნის უფლება.

გარდა ამისა, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ კანონშიც განხორციელდა ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც, „საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ“, რომელმაც საპარლამენტო მანდატზე უარი თქვა, სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება დაკარგა. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო ცვლილება ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა<sup>13</sup> უარყოფითად შეაფასა (ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების დეტალური ანალიზი იხილეთ **დანართში #4**).

## რეკომენდაციები

- პოლიტიკურმა პარტიამ არ უნდა დაკარგოს კუთვნილი სახელმწიფო დაფინანსება იმისდა მიუხედავად იგი საპარლამენტო მანდატებს გამოიყენებს თუ არა, ვინაიდან პარტიის დაფინანსება მის მიერ არჩევნებზე მიღებულ შედეგებზე უნდა იყოს დამოკიდებული და არა საპარლამენტო საქმიანობაზე.

12 [https://eeas.europa.eu/sites/default/files/210418\\_mediation\\_way\\_ahead\\_for\\_publication.pdf](https://eeas.europa.eu/sites/default/files/210418_mediation_way_ahead_for_publication.pdf)

13 ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

# VII. ინსტიტუციური ადმინისტრაციული ჩასურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება

საარჩევნო პერიოდში მმართველმა პარტიამ მთელი ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე ათეული მასშტაბური სააგიტაციო შეხვედრა გამართა, რომელზეც საკუთარი კანდიდატები წარადგინა. ასეთი შეკრებები, ძირითადად, ნახევრად დახურული იყო, მათ მხოლოდ პარტიის მხარდამჭერები ესწრებოდნენ და მათზე დეტალური დაკვირვება გარეშე პირებისთვის შეუძლებელი იყო. ამ შეხვედრებზე სავარაუდოდ დამსწრეთა დიდი ნაწილი ამავე დროს საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამდებობის პირი და თანამშრომელი იყო.

გამოვლენილი შემთხვევები საყურადღებოა იმ გარემოების გამო, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები ამა თუ იმ ფორმით პოლიტიკური თანამდებობის პირებზე სამსახურებრივად დაქვემდებარებული არიან, შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ისინი საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ მონაწილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში. ამით შესაძლოა ირღვეოდეს საარჩევნო კოდექსის ის ჩანაწერი, რომელიც კრძალავს „სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმას ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას“. აღნიშნული ქმედება ითვალისწინებს ჯარიმას 2,000 ლარის ოდენობით. თუმცა, ამ შემთხვევაში პრობლემურია ის, რომ კანონი სამართალდამრღვევად მხოლოდ ადგილობრივი ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოში დასაქმებულ თანამდებობის პირს მოიაზრებს, რაც სრულად არ ფარავს პოტენციურ სამართალდარღვევებს, მაგალითად, კანონის ამ დეფინიციაში არ ექცევა ა(ა)იპ<sup>14</sup> ის დირექტორები და მათი მხრიდან ჩადენილი იგივე შინაარსის სამართალდარღვევა რეგულირების მიღმა რჩება.

2021 წლის 28 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით დამატებითი რეგულაცია დაწესდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვის კუთხით. კერძოდ, აკრძალა საჯარო მოსამსახურეების, სსიპ-ების თანამშრომლების, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების, აღმზრდელ-პედაგოგების, აღმზრდელების, მასწავლებლების, იქ დასაქმებული სხვა პირების სამსახურებრივი ნიშნით შეკრება.<sup>15</sup>

აკრძალვის მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში, მსგავსი შეხვედრები სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მაინც იმართებოდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ 5 ასეთ შემთხვევაზე შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას საჩივრითაც მიმართა, თუმცა მხოლოდ ერთი დაკმაყოფილდა, რომელიც ოზურგეთის მერობის დამოუკიდებელ კანდიდატს ეხებოდა.

საარჩევნო კამპანიისთვის საჯარო მოსამსახურეთა მსგავსი კონცენტრაცია, კანონის პირდაპირი დარღვევაც რომ არ იყოს, მინიმუმ იგი ხელს უწყობს საჯარო სამსახურის უკიდურეს პოლიტიზებას, რაც დაუშვებელია (საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა საარჩევნო შეხვედრებისთვის მობილიზების, ჩართვისა და სამსახურებრივი ნიშნით შეკრების შემთხვევების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ **დანართში #5**).

14 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

15 საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტი

## რეკომენდაციები

- პარტიებმა თავი უნდა შეიკავონ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების საარჩევნო აგიტაციაში მათი ნების საწინააღმდეგოდ ჩართვისგან;
- საჭიროა გაფართოვდეს იმ პირთა წრე, რომლებიც მოექცევიან საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლი 1-ი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში, რითაც იკრძალება სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას. კანონმა მაქსიმალურად უნდა მოიცვას ყველა ის თანამდებობის პირი, რომელიც საბიუჯეტო ორგანიზაციაში არის დასაქმებული და აქვს გარკვეული ბერკეტები სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გავლენა მოახდინოს ადამიანების ნების თავისუფალ გამოვლენაზე.



# VIII. ფინანსური აღმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება

საქართველოს საარჩევნო კოდექსი კრძალავს არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელებას, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ასევე, იგივე პერიოდში აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდა. საარჩევნო პერიოდში არ დაფიქსირებულა ცენტრალური ან ადგილობრივ ბიუჯეტის ისეთი ცვლილება, რომლითაც დაირღვეოდა საარჩევნო კოდექსის ზემოთ აღნიშნული რეგულაცია.

თუმცა, ქართული კანონმდებლობით, თუ ასეთი ცვლილებები არჩევნებამდე 60 დღემდე ადრე იქნა შეტანილი ბიუჯეტში, მისი განხორციელება წინასაარჩევნო პერიოდშიც არ იკრძალება. სწორედ ამიტომ ხელისუფლებას, როგორც წესი, უადვილდება ამ რეგულაციის მის სასიკეთოდ გამოყენება, თუნდაც იმით, რომ ბიუჯეტში ცვლილებებს წინასწარ დაგეგმავს და კონკრეტულ პროგრამებს წინასაარჩევნოდ უპრობლემოდ განახორციელებს. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ამ საკითხის შესწავლისას „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ არამართ კანონის დარღვევაზე ამახვილებს ყურადღებას, არამედ აანალიზებს იმ საბიუჯეტო პროგრამებსაც, რომლებიც კანონის დაცვით არის ინიცირებული და განხორციელებული, თუმცა არჩევნების შედეგებზე სერიოზული გავლენა შეიძლება ჰქონდეს. ამ შემთხვევებში, როგორც წესი, ჩვენ ვსაუბრობთ სახელმწიფო სახსრების საარჩევნოდ მოტივირებულ ხარჯვაზე, ანუ სიტუაციაზე, როდესაც არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე ისეთი საბიუჯეტო პროგრამების ინიცირება ხდება, რომლის მიზანიც ამომრჩევლებზე ეფექტის მოხდენაა და შეიძლება არ შეესაბამებოდეს ქვეყნის გრძელვადიან ინტერესებს.

ჯანსაღი და კონკურენტული საარჩევნო გარემოსთვის მნიშვნელოვანია, რომ ასეთი პროგრამების ინიცირება არ მოხდეს არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე, რადგან ამით მმართველმა პარტიამ ან/და მისმა კანდიდატმა გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე მნიშვნელოვანი უპირატესობა შეიძლება მიიღოს.

არჩევნების როგორც პირველი, ისე მეორე ტურის წინ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ 17 სახელმწიფო პროგრამა/ინიციატივა გამოარჩია, რომელიც საარჩევნოდ მოტივირებულ ხარჯებად შეიძლება იყოს მიჩნეული (საარჩევნოდ მოტივირებული საბიუჯეტო პროგრამების/ინიციატივების მოკლე აღწერა იხილეთ **დანართში #6**).

## რეკომენდაციები

- ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე მასშტაბური სოციალური პროგრამების ინიცირებისგან, რათა ზიანი არ მიაღდეს საარჩევნო სუბიექტებს შორის ჯანსაღ კონკურენციას.

# დანართი #1. რუსთაველი ინფორმაცია სავანაულო პოლიტიკური ნიშნით ქაღალდის, მუქარის, ზეწოლის, სამსახურიდან გათავისუფლებისა და მათზე სამართალდამცავი ორგანოების რეაგირების შესახებ

## 1. ფიზიკური ქაღალდა

24 ოქტომბერს **რუსთაველი**, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ ოფისზე თავდასხმა მოხდა, რომლის დროსაც დაშავდა 3 ადამიანი. რუსთავის მერობის კანდიდატის, დავით კირკიტაძის თქმით,<sup>16</sup> ოფისთან სახელისუფლო პარტიის მხარდამჭერები მივიდნენ და მისი შტაბის წევრებს ჯერ სიტყვიერად, შემდეგ კი ფიზიკურადაც დაუპირისპირდნენ და ოფისში ძალადობრივად შეჭრას შეეცადნენ. თვითმხილველთა მიერ გადაღებულ ფოტო-ვიდეო მასალაში სხვა პირებთან ერთად ჩანდა საკრებულოს წევრი „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოდან“ ამირან ჯანჭღავა, რომელმაც განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან ვითარების განსამუხტად მივიდა და დაპირისპირების შესახებ არაფერი იცის.<sup>17</sup> მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.

21 სექტემბერს **დმანისის** მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარდგენილი მერობის კანდიდატი და დმანისის მოქმედი მერი, გიორგი ტატუაშვილი წინასაარჩევნო შეხვედრას მართავდა, რა დროსაც, მისი განცხადებით, შეხვედრის მონაწილეებს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ადგილობრივი შტაბის წევრები დაესხნენ თავს. დაპირისპირების დროს ცივი იარაღით დაიჭრა<sup>18</sup> ოპოზიციური პარტიის ორი აქტივისტი. პოლიციამ ცივი იარაღის გამოყენებით ადამიანების დაჭრის გამო მმართველი პარტიის მაჟორიტარობის ერთ-ერთი კანდიდატის შვილი, დავით დაუთაშვილი დააკავა.<sup>19</sup> ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების და ჯგუფურად ჩადენილ ძალადობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით და 126-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაიწყო, რომელიც 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

20 სექტემბერს **რუსთაველი** ფიზიკურად გაუსწორდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ ივანე გველესიანს, რომელმაც ცხვირის ძვლების მოტეხილობა და ტვინის შერყევა მიიღო.<sup>20</sup> გველესიანის თქმით, ინციდენტამდე მას პოლიტიკური აქტივობის შეწყვეტას სთხოვდნენ (არ ასაჯაროებს თუ ვინ სთხოვდა), წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ. შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე, ცემის მუხლით დაიწყო.

16 „რუსთაველი ენმ-ის შტაბთან დაპირისპირება მოხდა“, netgazet.ge, 24.10.2021, <https://netgazeti.ge/news/571145/>

17 „რუსთაველი თავს დაესხნენ ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო შტაბს“, რადიო თავისუფლება, 24.10.2021, <https://www.radiotavisupleba.ge/a/31527035.html>

18 „დმანისის მერობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრაზე ოპოზიციის ორი აქტივისტი დაჭრეს“, palitrnews.ge, 21.09.2021, <https://bit.ly/3AAHEvB>

19 „დმანისში ენმ-ის მხარდამჭერებს დაჭრის გამო „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის შვილი დააკავეს“, mtavari.tv, 22.09.2021, <https://bit.ly/3u0AK08>

20 „მოქალაქე, რომელსაც ფიზიკურად გაუსწორდნენ, თავდასხმას პოლიტიკურ მოტივს უკავშირებს“, რადიო თავისუფლება, 21.09.2021: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31470862.html>

## 2. სამსახურიან გათავისუფლება ან სამსახურიან წასვლის მოთხოვნა

28 სექტემბერს **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის** ა(ა)იპ „დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ ხელმძღვანელმა, ლევან წულაიამ თანამდებობა დატოვა.<sup>21</sup> მისი განცხადებით, გადაწყვეტილება მასზე განხორციელებული ზეწოლის გამო მიიღო, რის შედეგადაც ორგანიზაციის საქმიანობაც ფერხდებოდა. ზეწოლის მიზეზი გახდა ის, რომ მისი ძმა პარტია „საქართველოსთვის“ მხარდამჭერია. წულაიას განცხადებით, მან ცენტრალური ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირისგან მიიღო შეტყობინება, რომ დაეტოვებინა თანამდებობა, თუმცა მან ეს არ გააკეთა და ამის გამო დაიწყო ორგანიზაციის საქმიანობისთვის ხელის შეშლა, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი გუგუჩია და ბუგდიდის მერის მოვალეობის შემსრულებელი, კონსტანტინე კაკავა. აგრეთვე, წულაია ზეწოლის ნაწილად განიხილავდა იმ ფაქტს, რომ ორგანიზაციაში ერთდროულად იმყოფებოდა სახელმწიფო და მერიის აუდიტი.

სექტემბრის მეორე ნახევარში **გორის სახელმწიფო თეატრის** დირექტორს, გივი წვერაგას უფლებამოსილების ოთხწლიანი ვადა გაუვიდა, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს** ამ პოზიციაზე მოქმედი დირექტორის კანდიდატურა წარუდგინა (დირექტორს, თეატრის წარდგინებით ნიშნავს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი). 3 სექტემბერს გორის თეატრმა მიიღო კულტურის მინისტრის მოადგილის, იოსებ ბალათურიას წერილი, რომლითაც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს რეკომენდაციას აძლევდა, რომ თეატრის დირექტორის პოზიციაზე გივი წვერაგას კანდიდატურა აღარ წარმოედგენა,<sup>22</sup> რომლის მიზეზიც თეატრის ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული და ფინანსური განვითარების არარსებობა იყო. წვერაგა ამ გადაწყვეტილებას გორის საკრებულოს არჩევნებში მის მონაწილეობას უკავშირებდა,<sup>23</sup> იგი პარტია „საქართველოსთვის“ პარტიულ სიაში იყო.

პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოდან“ **ობურგეთის** მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ვლადიმერ ჩავლეიშვილის და მთისპირის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის თანაშემწის, რომან ვანაძის განცხადებით,<sup>24</sup> მათ 2 სექტემბერს ობურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, კონსტანტინე შარაშენიძე დაემუქრა და ფიზიკურად დაუპირისპირდა. შარაშენიძე თვითმმართველობის არჩევნებზე მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი იყო. ჩავლეიშვილის და ვანაძის განცხადებით, შარაშენიძე მათ არჩევნებზე მხარდაჭერას სთხოვდა. მომხდარ ფაქტზე შსს-ს ობურგეთის სამმართველოში დაიწყო გამოძიება.

23 აგვისტოს **სენაკის** მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სამოგადოებრივი მომსახურების ცენტრის“ მონიტორინგის განყოფილების მთავარ სპეციალისტს, ბაქარ სიჭინავას ცენტრის დირექტორმა, ბადრი მამულიამ ცალმხრივად შეუწყვიტა შრომითი ხელშეკრულება.

21 „ძმის პოლიტიკური შეხედულების გამო, ჩემზე დაიწყო ზეწოლა და ორგანიზაცია დაზარალდა - ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელი“, livepress.ge, 28.09.2021, <https://bit.ly/3dHjUvP>

22 საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის, იოსებ ბალათურიას მიერ წერილი სსიპ გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო 2021 თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ დავით ჩხარტიშვილისთვის 2021 წლის 3 სექტემბერს გაგზავნილი წერილი, <https://bit.ly/3nRP9eb>

23 გივი წვერაგას 8 სექტემბერს „ფეისბუქზე“ გამოქვეყნებული პოსტი; <https://www.facebook.com/gia.tsverava/posts/1767587653424987>

24 „ობურგეთის მერს საკრებულოში „ქართული ოცნების“ წევრი ძალადობაში ადანაშაულებს“, imedinews.ge, 2.09.2021, <https://bit.ly/3EynODL>

სიჭინავას განცხადებით, გათავისუფლებამდე მას მამულია სთხოვდა, დაენერა განცხადება გათავისუფლების შესახებ, რადგან ის პარტია „საქართველოსთვის“ აღმასრულებელი მდივნის, ბერდია სიჭინავას ძმია. ბრძანებაში გათავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად სამუშაო ძალის შემცირება იყო მითითებული.

23 აგვისტოს **ზუგდიდის** ა(ა)იპ „*მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლის*“ თანამშრომელს, კესარია წულაიას დირექტორმა, დავით შამათავამ შრომითი ხელშეკრულება გაუწყვიტა. წულაიას განცხადებით, გათავისუფლებამდე ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელი მას სთხოვდა, შეენწყვიტა „ფეისბუქზე“ პარტია „საქართველოსთვის“ მხარდამჭერი აქტივობა. აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ-ის თანამშრომლებს სამუშაო საათებში სოციალურ ქსელებში აგიტაცია აკრძალული აქვთ, მაგრამ ბრძანებაში ხელშეკრულების განწყვეტის საფუძვლად პანდემიის გამო ფუნქციების შესრულების შეუძლებლობა იყო მითითებული. წულაია რეალურ მიზეზად მის მიერ პარტია „საქართველოსთვის“ ზუგდიდის ოფისის დახმარებას ასახელებდა.

17 აგვისტოს სსიპ<sup>25</sup> „*დაცული ტერიტორიების სააგენტოს*“ **ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის** სპეციალისტი, თეიმურაზ გვრიტიშვილი ამავე სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, დავით იოსებაშვილმა ინსპექტირების სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე სამსახურიდან გაათავისუფლა. გვრიტიშვილის თქმით, გათავისუფლებამდე ის დირექტორმა რამდენჯერმე გააფრთხილა, რომ შეენწყვიტა „ფეისბუქზე“ გახარის და მისი თანაგუნდელის, კოტე ანანიაშვილის მხარდამჭერი აქტივობა.

11 ივნისს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა თანამდებობიდან გაათავისუფლა სსიპ „*საქპატენტის*“ თავმჯდომარე **მინდია დავითაძე**.<sup>26</sup> დავითაძის განცხადებით, მისი გათავისუფლების მიზეზი ის იყო, რომ იგი ოპოზიციაში მყოფი ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარისა მიერ იყო თანამდებობაზე დანიშნული. დავითაძე პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერია. მინდია დავითაძის შრომით უფლებებს სასამართლოში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ იცავს, ვინაიდან, ორგანიზაციას მისი გათავისუფლების ბრძანება დაუსაბუთებლად მიაჩნია.

25 მაისს **ბათუმის** საკრებულოს თანამშრომელი, გია აბულაძე სამსახურიდან მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც გიორგი გახარისა მხარდამჭერი პოსტი „ფეისბუქზე“ გააზიარა. აბულაძის თქმით, საკრებულოს თავმჯდომარემ მას ჯერ გაზიარებული პოსტის ნაშლა მოსთხოვა, უარის მიღების შემდეგ კი დაუსაბუთებელი ბრძანებით გაათავისუფლა. აბულაძემ გათავისუფლების ბრძანება სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც მის ინტერესებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ იცავს.

19 მაისს ა(ა)იპ „*ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მელიორაციის*“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ვანგერ მხეიძემ ამავე ორგანიზაციის მთავარი სპეციალისტი ხვიჩა დოლბაია დაუსაბუთებელი ბრძანებით სამსახურიდან გაათავისუფლა. დოლბაიას განცხადებით, გათავისუფლების მიზეზი იყო მისი ნათესაური კავშირი ფოთის მერის ყოფილ მოადგილესთან, კონსტანტინე თოფურიასთან (რომელიც ასევე გაათავისუფლეს), რომელიც გიორგი გახარისა თანაგუნდელია. დოლბაიას გათავისუფლების ბრძანება სასამართლოში აქვს გასაჩივრებული.

25 საჯარო სამართლის იურიდიული პირი

26 „ღარიბაშვილმა საქპატენტის თავმჯდომარე მინდია დავითაძე თანამდებობიდან გაათავისუფლა“, [formulanews.ge](https://formulanews.ge/News/51839), 11.06.2021, <https://formulanews.ge/News/51839>

13 მაისს **დუშეთის** მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ დირექტორი, გიორგი მეზვრიშვილი დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა, ზურაბ სეხნიაშვილმა თანამდებობიდან გაათავისუფლა. მეზვრიშვილის თქმით, გაათავისუფლებამდე მას მერმა განცხადების დაწერა მოსთხოვა, რადგან მისი რეკომენდატორი, შალვა კერესელიძე (პარლამენტის წევრი, რომელიც პარტიას „საქართველოსთვის“ შეუერთდა) აღარ იყო გუნდის წევრი და შესაბამისად, მასაც უნდა დაეთოვებინა თანამდებობა. განცხადების დაწერაზე უარის თქმის შემდეგ, მერის ბრძანებით, მეზვრიშვილი სამსახურიდან გაათავისუფლეს. გაათავისუფლების ბრძანება მეზვრიშვილმა სასამართლოში გაასაჩივრა. გაათავისუფლების კანონიერებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის პოზიციის თანახმად, მერს მეზვრიშვილის გაათავისუფლების დასაბუთების ვალდებულება არ ჰქონდა.<sup>27</sup>

13 მაისს **დუშეთის** მერმა, ზურაბ სეხნიაშვილმა სამსახურიდან დასაბუთების გარეშე გაათავისუფლა ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი, თორნიკე თათარაშვილი. თათარაშვილის თქმით, გაათავისუფლების მიზეზი მის მიერ „ფეისბუქზე“ გიორგი გახარიას მხარდაჭერა გახდა. ფაქტთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ თათარაშვილი ადმინისტრაციული ხელშეკრულებით იყო დასაქმებული, ამიტომ მის გაათავისუფლებას დასაბუთება არ სჭირდება.<sup>28</sup>

9 ივნისს გრიგოლ დაგარგულია **სამეგრელო - ზემო სვანეთის** მხარეში რწმუნებულის ადმინისტრაციის თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილის პოზიციიდან ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გაათავისუფლეს, თავად დაგარგულია გაათავისუფლების ფაქტს პოლიტიკურ ნიშანს უკავშირებდა, რადგან იგი პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთ წევრთან, ალექსანდრე მოწერელიასთან ასოცირდებოდა. მის ინტერესებს სასამართლოში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ იცავდა. სარჩელის შეტანისას ორგანიზაციამ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოითხოვა, რაც დაკმაყოფილდა და გაათავისუფლებული პირის ადგილზე აიკრძალა სხვა პირის დანიშვნა. მოგვიანებით, სასამართლო პროცესების დასრულებამდე, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში რწმუნებულის ადმინისტრაციამ თავად აღადგინა დაგარგულია იმავე პოზიციაზე.

11 მაისიდან 3 აგვისტომდე **ბათუმში, თბილისში, სენაკში, ფოთსა და გორში** ჯამში 7 შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც სხვადასხვა საჯარო უწყებაში, მათ შორის შსს-ში დასაქმებულმა პირებმა დაწერეს განცხადებები სამსახურიდან გაათავისუფლების შესახებ. მათი თქმით, განცხადება მათზე განხორციელებული ზენოლის გამო დაწერეს, რომლის მიზეზიც მათ მიერ გიორგი გახარიას მიმართ გამოხატული მხარდაჭერა, ან გახარიას თანაგუნდელებთან სხვადასხვა სახის (ნათესაური, მეგობრული) კავშირები იყო.

გლდანის 119-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციიდან გაათავისუფლეს თეა ბრეგვაძე და მის მაგივრად დანიშნეს თამარ თაბუაშვილი, რომელიც ასევე დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. ბრეგვაძე მის გაათავისუფლებას იმას უკავშირებდა, რომ ის იყო ოპოზიციური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის თენგიზ გიორგაძის დეიდა. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის და გაათავისუფლების გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ არის გამჭვირვალე და განჭვრეტადი შესაბამისად, აღწერილ შემთხვევაშიც, შესაძლოა იკვეთებოდეს თეა ბრეგვაძის

27 თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ ასეთი 12 შემთხვევის შესახებ ამცნო, იხ. სხდომის ოქმი N6, <https://bit.ly/3AyQyJW>, გვ. 7.

28 იქვე.

პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების ნიშნები. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 5 აგვისტოს მსგავს შემთხვევაზე სახალხო დამცველმა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა.<sup>29</sup>

### 3. სავაიკო ფაქტობრივი შემთხვევების მიხედვით

22 აგვისტოს ტელეკომპანია „მთავარ არხზე“ გავიდა სიუჟეტი,<sup>30</sup> რომლის თანახმადაც, ტელეკომპანიას წყარომ მიაწოდა ინფორმაცია, რომ **სამცხე-ჯავახეთში** მხარის რწმუნებულმა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სამხარეო ხელმძღვანელებმა ადგილობრივ ბიზნესმენებს დაავალეს მმართველი პარტიის სასარგებლოდ თანხის შეწირვა.

სიუჟეტის მიხედვით, ბიზნესმენები სუს-ის მეშვეობით გუბერნიის შენობაში დაიბარეს, სადაც მათ გემოაღნიშნულმა სამმა მაღალჩინოსანმა საწარმოს წლიური ბრუნვიდან გარკვეული ნაწილის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სასარგებლოდ შეწირვა დაავალა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზნესისთვის საფრთხის შექმნით დაემუქრა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდის მიხედვით, სადაც პარტიების მიერ მიღებული შემოწირულებებია განთავსებული, 2-16 აგვისტოს პერიოდში მმართველ პარტიას სამცხე-ჯავახეთიდან 87-მა ფიზიკურმა<sup>31</sup> და 5-მა იურიდიულმა<sup>32</sup> პირმა ჯამში 714,000 ლარი შესწირა. ასეთ მოკლე დროში, ერთი გეოგრაფიული არეალიდან განხორციელებული შემოწირულებების ეს ოდენობა საკმაოდ უჩვეულოა და შესაძლოა წარმოადგენდეს „მთავარი არხის“ სიუჟეტში მოთხრობილი ისტორიის არაპირდაპირ მტკიცებულებას. გარდა ამისა, 4 სექტემბერს ტელეკომპანია „პირველის“ ეთერშიც გავიდა სიუჟეტი<sup>33</sup>, რომლის მიხედვითაც, ჟურნალისტებთან საუბარში შემომწირველების ნაწილმა, ფაქტობრივად, დაადასტურა, ბემოთ ნახსენები შეხვედრები და გარემოებები.

განხორციელებული შემოწირულებების კანონიერება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, რომლის ინფორმაციითაც, დარღვევა არ გამოვლენილა. თუმცა ამ შემთხვევაში აშკარად გამოკვეთილია სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. მიუხედავად ამისა, ჩვენი ინფორმაციით, პროკურატურას გამოძიება არ დაუწყია.

### 4. დანიშნული კანდიდატებზე ფაქტობრივი

პარტიების მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიული სიების და მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენის ბოლო

29 „სახალხო დამცველმა სკოლის დირექტორის თანამდებობაზე ხელმეორედ დანიშვნაზე უარი პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციად შეაფასა“, საქართველოს სახალხო დამცველი, 5.08.2021, <https://bit.ly/3ycZWCB>

30 „დარეკეტებული ბიზნესი | „ოცნებამ“ ბოლო ორ კვირაში 700 000 ლარზე მეტი შემოწირულობა მიიღო“, mtavari.tv, 22.08.2021, <https://mtavari.tv/news/54172-dareketebuli-biznesi-otsnebam-bolo-or-kvirashi>

31 იხ. შემომწირველ ფიზიკურ პირთა სია, <https://bit.ly/3lPtMaA>

32 იხ. შემომწირველ იურიდიულ პირთა სია, <https://bit.ly/3AxkWEz>

33 გადაცემა „ნოდარ მელაძის შაბათი“, ტელეკომპანია „პირველი“, 04.09.2021: <https://www.youtube.com/watch?v=Z9IHmPShOxs>

ვადა არჩევნებამდე არაუგვიანეს 30-ე დღე - 2 სექტემბერი იყო. მას შემდეგ, რაც პარტიებმა დაარეგისტრირეს კანდიდატები, რეგულარულად ვრცელდებოდა ინფორმაცია სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების კანდიდატების მოხსნის შესახებ, რის მიზეზადაც მათზე განხორციელებული ზეწოლა სახელდებოდა. კანდიდატები დარეგისტრირებიდან რამდენიმე დღეში კანდიდატურის მოხსნის შესახებ განცხადებით მიმართავდნენ შესაბამის საარჩევნო კომისიას, რის შემდეგაც წყვეტდნენ პარტიასთან კომუნიკაციას. ისინი, როგორც წესი ზეწოლის შესახებ საჯაროდ არ საუბრობდნენ, თუმცა გამომდინარე მათ მიერ მოკლე ვადაში შეცვლილი გადანყვეტილებიდან და ასევე იმ სარგებლიდან, რაც შეიძლებოდა მიეღო მმართველ პარტიას კონკურენტების შემცირებით, არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლოა მათი გადანყვეტილება ზეწოლის შედეგად ყოფილიყო მიღებული. ამ ეჭვს, არ აბათილებს ის გარემოება, რომ შსს-მ რამდენიმე მათგანი დაიბარა გამოკითხვაზე, სადაც მათ განაცხადეს, რომ საკუთარი ნებით მოხსნეს კანდიდატურები.<sup>34</sup>

კანდიდატურების საკუთარი განცხადების საფუძველზე მოხსნის რაოდენობა განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო პარტია „საქართველოსთვის“ შემთხვევაში - **ასპინძაში, ახალქალაქში, ახმეტაში, ახალციხეში, მარნეულში, ყაზბეგში, ხელვაჩაურში, თეთრიწყაროში, ნაღენჯიაში, ტყიბულში, ნინოწმინდაში, ადიგენში, კასპში, წყალტუბოში** 22 ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მსგავს შემთხვევებზე საუბრობდნენ პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლებისა“<sup>35</sup>, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებლის“ წარმომადგენლებიც.<sup>36</sup> დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კანდიდატებმა საჯაროდ განაცხადეს მათზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ. 10 სექტემბერს პარტია „საქართველოსთვის“ მიერ გამართულ ბრიფინგზე<sup>37</sup> **ქედას** მუნიციპალიტეტის საკრებულოს პარტიული სიის მე-10 ნომერმა აკაკი ბეჟანიძემ განაცხადა, რომ მას ფარული ნომრიდან დაუკავშირდა მისთვის უცნობი პირი, რომელიც სთხოვდა კანდიდატურის მოხსნას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მას სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. ამავე ბრიფინგზე, **შუახევის** მუნიციპალიტეტის საკრებულოს პარტიული სიის მე-6 ნომერმა, დალი ტაკიძემ განაცხადა, რომ მას დაუკავშირდა შუახევის მოქმედი მერის, ფრიდონ ფუტკარაძის წარმომადგენელი, რომელიც ამავე დროს მისი ნათესავია და მოსთხოვა კანდიდატურის მოხსნა. ტაკიძის თქმით, უარის მიღების შემდეგ მუქარა განხორციელდა მის მეუღლეზე (დაემუქრნენ ავტომანქანის დაწვით). მიუხედავად იმისა, რომ ტაკიძე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთან“ საუბარში ადასტურებდა ზემოაღნიშნულ გარემოებებს, შსს-ის წარმომადგენლის მიერ უწყებათაშორისი კომისიის 15 სექტემბრის სხდომაზე გაჟღერებული ინფორმაციით, ტაკიძემ გამოკითხვისას არ გაამხილა ფუტკარაძის წარმომადგენლის ვინაობა და სხვა დეტალები, აგრეთვე, მან უარყო მუქარის ფაქტები.

19 სექტემბერს **სამტრედიის** ერთ-ერთ ოლქში საარჩევნო სუბიექტის „მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებლის“ მაჟორიტარობის კანდიდატმა, ნიკა საკანდელიძემ ბრიფინგზე განაცხადა,<sup>38</sup> რომ 18 სექტემბერს მას 8 საათის განმავლობაში თავისუფლება უკანონოდ

34 თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარაბევილიძემ ასეთი 12 შემთხვევის შესახებ ამცნო, იხ. სხდომის ოქმი N6, <https://bit.ly/3AyQyJW>, გვ. 4-5.

35 იხ. პარტიის თავმჯდომარის საჯარო განცხადება, <https://bit.ly/2ZbxgMY>

36 „დაშინება, შანტაჟი და სიცოცხლის მოსპობის მუქარა ოპოზიციაზე ნინოწმინდასა და ახალქალაქში“, mtavari.tv, 22.09.2021, <https://bit.ly/39orfyu>

37 პარტია „საქართველოსთვის“ 10 სექტემბრის ბრიფინგი ბათუმში, <https://bit.ly/39uimDn>

38 „ვაშაძე: სამტრედიისში ჩვენი კანდიდატი 8 საათით ჩაკეტეს და ზეწოლას ახდენდნენ“, formulanews.ge, 19.09.2021, <https://formulanews.ge/News/56856>

ჰქონდა აღკვეთილი, რა დროსაც მასზე ახდენდნენ ზენოლას კანდიდატურის მოხსნის მიზნით. მუქარის შედეგად, საკანდელიძემ გააუქმა საკუთარი რეგისტრაცია. უწყებათაშორის კომისიის 22 სექტემბრის სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ კომისიას ამცნო, რომ 21 სექტემბერს საკანდელიძე გამოკითხვაზე დაიბარეს, სადაც მან უარყო მასზე ზენოლის შესახებ ინფორმაცია და განაცხადა, რომ ნებაყოფლობით მოხსნა კანდიდატურა.

როგორც უკვე აღინიშნა, საკუთარი განცხადებით კანდიდატურები მოხსნეს პარტიების როგორც მაჟორიტარულმა კანდიდატებმა, ისე პარტიულ სიაში მყოფებმაც, თუმცა ეს უკანასკნელი, საარჩევნო გარემოსთვის მოტანილი ზიანის თვალსაზრისით უფრო მაღალი საფრთხის მატარებელია. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, თუ წარდგენილ პარტიულ სიაში საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლებია, მაშინ ამ ოლქში მთელი პარტიული სიის რეგისტრაცია უქმდება და პარტია პროპორციულ არჩევნებს ეთიშება.<sup>39</sup>

ამ საფრთხეზე ადეკვატური რეაგირება ჰქონდა ცესკოს, რომელმაც 7 სექტემბერს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი განცხადებით კანდიდატურების მოხსნის გამო პარტიულ სიაში არსებულ კანდიდატთა რაოდენობა პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები იქნებოდა, პარტიული სიის რეგისტრაცია აღარ გაუქმდებოდა.<sup>40</sup> აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა 2017 წლის თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდშიც დადგა და ცესკომ მაშინაც ანალოგიური დადგენილებით შეაჩერა პარტიული სიების რეგისტრაციიდან მოხსნა.<sup>41</sup>

თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიღებულმა დადგენილებამ ვერ მოაგვარა მაჟორიტარი კანდიდატების რეგისტრაციიდან მოხსნის პრობლემა, რომლის შედეგადაც, ბოგეერთ ოლქში მმართველი პარტიის კანდიდატები უკონკურენტო პირობებში აღმოჩნდნენ.

## 5. ოპოზიციური პარტიის მხარეაშვირის დაკავება

21 ოქტომბერს **ხობში** სპეცოპერაციის შედეგად, საკუთარ სახლში დააკავეს შსს-ს ყოფილი თანამშრომელი ლექსო რაფავა, აგრეთვე ჩხრეკა ჩაატარეს შსს-ის ყოფილი თანამშრომლის რუსლან შამახიას სახლში. რაფავას ბრალი ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა ან შენახვის ბრალით წარუდგინეს,<sup>42</sup> რაც 3-დან 6-მე წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. 23 ოქტომბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ რაფავას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.<sup>43</sup> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბუკდიდის ორგანიზაციის

39 საარჩევნო კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 145-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ვ“ პუნქტი.

40 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 7 სექტემბრის №60/2021 დადგენილება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5253113?publication=0>

41 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 19 სექტემბრის №46/2017 დადგენილება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3806896?publication=0>

42 „ფორმულა ტვ“, 22.10.2021, <https://bit.ly/3DEx2fZ>

43 „ასეთი უსუსური, შეშინებული მოსამართლე არ მინახავს“ - ხობის პოლიციის ყოფილ უფროსს პატიმრობა შეუფარდეს“, [mtavari.tv, https://mtavari.tv/news/61324-aseti-ususuri-sheshinebuli-mosamartle-ar](https://mtavari.tv/news/61324-aseti-ususuri-sheshinebuli-mosamartle-ar)



ხელმძღვანელის და პარლამენტის წევრის ანა წითლიძის თქმით, თვითმმართველობის არჩევნებზე რუსლან შამახია, ლექსო რაფავა და სხვა ყოფილი ძალოვნები მათ პარტიას ეხმარებოდნენ საარჩევნო უბნებზე ე.წ. „კარუსელის“ დატრიალების პრევენციაში, რის გამოც მათ ჩაუდეს იარაღი და ხელყუმბარა. წითლიძე რაფავას დაკავებას ერთმნიშვნელოვნად მის პოლიტიკურ აქტიურობას უკავშირებდა.<sup>44</sup>

## 6. საარჩევნო კომისიის წევრზე ზეწოლა

1 ნოემბერს, არჩევნების მეორე ტურის მეორე დღეს, **ქუთაისის** საარჩევნო ოლქის 90-ე საარჩევნო უბნის წევრმა იზა ჩირგაძემ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ქუთაისი მერობის კანდიდატთან, ხატია დეკანოიძესთან ერთად ბრიფინგი გამართა, რომელზეც ჩირგაძემ განაცხადა, რომ მასზე „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენლები ზეწოლას ახდენდნენ და არჩევნების გაყალბებას აიძულებდნენ. მისი მონაყოლის მიხედვით, 30 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, მას პარტიის წარმომადგენლები უკავშირდებოდნენ და უბანზე არარეგისტრირებული მოქალაქეებისთვის ბიულეტენის გადაცემას სთხოვდნენ. შსს-მ საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით დაიწყო, რაც იძულებას გულისხმობს. გამოძიების ფარგლებში გამოიკითხა იზა ჩირგაძე<sup>45</sup>. თუმცა, ბრიფინგის ჩატარებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში ჩირგაძე გაუჩინარდა და კომუნიკაცია შეწყვიტა როგორც მედიასთან, ისე სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომაც“ ვერ შეძლო მასთან გასაუბრება. რამდენიმე დღის შემდეგ ჩირგაძემ მედიას კომენტარი მისცა და უარყო მასზე რაიმე სახის ზეწოლის განხორციელების ფაქტი.

44 „ჩაუდეს იარაღი და ხელყუმბარა, დაანიოკეს ბავშვები - ანი წითლიძე სამეგრელოში დაკავებულზე“, mtavari.tv, 21.10.2021, <https://mtavari.tv/news/61080-chaudes-iaraghi-khelqumbara-daaciokes-bavshvebi>

45 თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმი N14, 10.11.2021, გვ.3, <https://justice.gov.ge/files/5IE16lVEjKry.pdf>

# ღანაითი #2. ინფორმაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ წარმოებული საარჩევნო დავების შესახებ

## 1. არჩევნების პირველი ტური

2021 წლის 2 ოქტომბერს, არჩევნების დღეს და მის შემდეგ ორგანიზაციამ საარჩევნო კომისიებში **42 საჩივარი** დაწერა, საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში **7 სარჩელი** შეიტანა, ხოლო **4 შემთხვევაში** პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. საბოლოოდ, აქედან საოლქო საარჩევნო კომისიებმა და სასამართლოებმა დააკმაყოფილეს **4 საჩივარი და 1 სარჩელი**, რომლებშიც მოთხოვნილი იყო საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიმართ დისციპლინური ზომის გატარება. რაც შეეხება ოქმებში არსებული დისბალანსის გამო მოთხოვნილი ბიულეტენების ხელახალ გადათვლას, გასაჩივრებული **12 უბნიდან** ჩვენი მოთხოვნით **არც ერთი**, მაგრამ საკუთარი ინიციატივით ან შემთხვევითი შერჩევით საოლქო კომისიებმა **7 უბანი** გადაითვალეს.

საოლქო საარჩევნო კომისიამ, რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მოთხოვნა მარნეულის იმ ორი უბნის შედეგების ბათილობასთან დაკავშირებით, სადაც სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში მძიმე დარღვევები, მათ შორის ამომრჩევლების მიერ რამდენჯერმე ხმის მიცემის ფაქტები დავაფიქსირეთ. ბოლნისის რაიონულ სასამართლოში ამ საქმეს გიორგი გრატიამვილი განიხილავდა, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის მოსამართლეები ირინა ზარქუა, თეა ძიმისტარამვილი და ნანა ჭიჭილეიშვილი იყვნენ. როგორც საოლქო საარჩევნო კომისიისთვის, ისე ორივე ინსტანციის სასამართლოსთვის დარღვევის ამსახველი ვიდეო მტკიცებულებებიც არ აღმოჩნდა საკმარისი საჩივრის/სარჩელის დასაკმაყოფილებლად.

ამასთანავე, ზუგდიდის რაიონულმა და მოგვიანებით, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ სარჩელი ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით მე-11 მაჟორიტარული ოლქის 4 უბნის მხოლოდ ბათილი ბიულეტენების გადათვლასთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც, შეიცვალა გამარჯვებული კანდიდატი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ამ მაჟორიტარულ ოლქში 5 უბნის არა მხოლოდ ბათილი ბიულეტენების, არამედ შედეგების სრულად გადათვლას ითხოვდა. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში საქმეს გვანცა ვარდანიძე განიხილავდა, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეებმა შოთა სირაძემ, ნანა კალანდაძემ და ლერი თედორაძემ არ დააკმაყოფილეს ჩვენი სარჩელი.

ამ ორი მნიშვნელოვანი შემთხვევის გარდა, ორგანიზაციამ 12 საჩივარი შემაჯამებელ ოქმში არსებულ დისბალანსთან დაკავშირებით წარადგინა. კერძოდ, არჩევნების დასრულების შემდეგ ორგანიზაციამ იმ უბნების საკრებულოს პროპორციული არჩევნების შემაჯამებელი ოქმები და მათში არსებული დისბალანსი გადაამოწმა, რომელსაც აკვირდებოდა. 12 უბნიდან, სადაც დისბალანსის გამო მოთხოვნილი იყო ბიულეტენების გადათვლა, 3 საოლქო საარჩევნო კომისიებმა შემთხვევითი შერჩევით წესით გადაითვალეს; 2 უბანზე საოლქო კომისიებმა ბიულეტენები საკუთარი ინიციატივით გადათვალეს, კიდევ 2 უბანი კი, რომელთა გადათვლის მოთხოვნა არ დააკმაყოფილდა, საოლქო კომისიებმა მოგვიანებით, ცესკოს თავმჯდომარის რეკომენდაციის საფუძველზე, მაინც გადაითვალეს (აქედან ერთის შემთხვევაში მხოლოდ ბათილი ბიულეტენები); დანარჩენ 5 უბანზე კი ბიულეტენები

არ გადათვლილა. გემოაღნიშნულ უბნებზე გადათვლის შედეგად ჯამში შემდეგნაირად შეიცვალა საარჩევნო სუბიექტთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

- „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - მოაკლდა 1 ხმა;
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - მოემატა 1 ხმა;
- „გახარია - საქართველოსთვის“ - მოემატა 10 ხმა;
- „გირჩი“ - მოაკლდა 24 ხმა;
- „საქართველოს განვითარების პარტია“ - მოემატა 1 ხმა;
- ბათილი ბიულეტენი გაიზარდა 39-ით;
- მოსული ამომრჩეველი გაიზარდა 30-ით.

## 2. აჩვენების გეოგრაფია

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ 2021 წლის 30 ოქტომბერს და მის შემდეგ საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში **54 საჩივარი / სარჩელი** შეიტანა, რომელთაგან **34** არ დაკმაყოფილდა, **11** - დაკმაყოფილდა (მათ შორის 5 შედეგების გადათვლას ეხებოდა), ხოლო **9** საჩივარი, რომლითაც შემაჯამებელ ოქმში მნიშვნელოვანი დისბალანსების გამო შედეგების ხელახალ გადათვლას ვითხოვდით, საოლქო საარჩევნო კომისიებმა სხვა ორგანიზაციების საჩივრების ფარგლებში ან შემთხვევითი შერჩევით გადათვალეს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს ორივე ინსტანციაში შეტანილი 11 სარჩელი/საჩივრიდან მხოლოდ ერთი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

საბოლოოდ, პირველ ტურთან შედარებით, დავების განხილვის პროცესი უფრო მშვიდ გარემოში წარიმართა, თუმცა სამწუხაროა, რომ სასამართლოები საქმეებს მეტწილად არასრულყოფილად განიხილავდნენ. საოლქო საარჩევნო კომისიების ნაწილი კი დავებს ფორმალისტურად უდგებოდა და საქმის გარემოებების შესწავლისა და ფაქტების დადგენის ინტერესი არ ჰქონდა.

მაგალითად, ფოთის მუნიციპალიტეტში #20 უბანზე დაფიქსირებულ დარღვევასთან დაკავშირებით, საკმაოდ პრობლემური განმარტებები გააკეთეს, როგორც საოლქო საარჩევნო კომისიამ, ასევე ფოთის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სადავოდ ხდიდა ისეთი 2 ბიულეტენის გაბათილებას, სადაც ამომრჩევლის ნება აშკარად იკითხებოდა.<sup>46</sup> ერთ-ერთ მათგანს მინაწერი ჰქონდა „თავისუფლება მიშას“, ხოლო მეორეს - უცენზურო სიტყვა. პირველი მათგანი, ბიულეტენების გადათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩათვლილი იქნა ნამდვილ ბიულეტენად, რის შემდეგაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ მოხსნა მოთხოვნა ამ ნაწილში, მაგრამ სადავოდ დარჩა გაბათილებული ბიულეტენი, რომელსაც მინაწერი ჰქონდა უცენზურო სიტყვა.<sup>47</sup>

46 #66 ხობის საარჩევნო ოლქის #20 საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გაუქმებული ბიულეტენები: [shorturl.at/brAD2](http://shorturl.at/brAD2)

47 #66 ხობის საარჩევნო ოლქის #20 საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გაუქმებული ბიულეტენი: <https://bit.ly/3pLBI41>

საოლქო საარჩევნო კომისიამ არ გამოიკვლია სათანადოდ აღნიშნული მოთხოვნა და მიიღო დაუსაბუთებელი განკარგულება, სადაც მეორე მოთხოვნასთან დაკავშირებით მსჯელობა საერთოდ არ არის.<sup>48</sup> აღნიშნული აქტი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ფოთის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა.

ფოთის საქალაქო სასამართლომ, სადაც საქმეს დავით გელაშვილი განიხილავდა, კანონსაწინააღმდეგო განმარტება გააკეთა და მიიჩნია, რომ „კონკრეტული ბიულეტენების ბათილად თუ ნამდვილად ჩათვლა არის საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება, რის შესახებაც საკითხი კომისიამ გადაწყვიტა ხმათა უმრავლესობით და საოლქო საარჩევნო კომისია ვერ შევა მიღებული გადაწყვეტილების შინაარსში.“<sup>49</sup> მაშინ, როდესაც საარჩევნო კოდექსი პირდაპირ აწესებს ვალდებულებას საოლქო საარჩევნო კომისიებმა განცხადების/საჩივრის საფუძველზე, აგრეთვე საკუთარი ინიციატივით შეამოწმონ საუბნო საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა კანონიერება.<sup>50</sup> ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, შოთა სირაძის, ნანა კალანდაძისა და ლერი თედორაძის შემადგენლობით, მართალია არ გაიზიარა ფოთის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული კანონსაწინააღმდეგო მსჯელობა, თუმცა სხვა მიმართულებით გააკეთა არაერთი პრობლემური განმარტება.<sup>51</sup> სააპელაციო სასამართლომ ბათილობის საფუძველად მიიჩნია ბიულეტენზე მინაწერის გაკეთება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბიულეტენზე ამომრჩევლის ნება იკითხებოდა. მინაწერი მიიჩნია კანონის მოთხოვნის დარღვევით ხმის მიცემად და შესაბამისად ბათილობის საფუძველად.

საარჩევნო კოდექსი ბიულეტენის ბათილობის საფუძველად არ ითვალისწინებს არასტანდარტული ფორმით გამოხატულ ნებას, პირიქით, თუ ამომრჩევლის ნება ნათელია, კანონის მიხედვით, ეს ბიულეტენი ნამდვილია.

წლებია არჩევნებზე ნების გამოვლენისას ბიულეტენებზე მინაწერებს უამრავი ადამიანი აკეთებს<sup>52</sup> და ცენტრალური საარჩევნო კომისიის არცერთ საინფორმაციო რგოლში მსგავსი ინფორმაცია არ გაჟღერებულა, რომ ასეთი ბიულეტენები ჩაითვლება გაუქმებულად. აქედან გამომდინარე, შემამოწმებელი და დამაზიანებელია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მსგავსი განმარტება.

48 #66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 3 ნოემბრის N61/2021 განკარგულება; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3EJKQao>

49 ფოთის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 ნოემბრის N3/99-2021 გადაწყვეტილება; ხელმისაწვდომია: [shorturl.at/vwPW9](http://shorturl.at/vwPW9)

50 საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტი.

51 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 10 ნოემბრის განჩინება; ხელმისაწვდომია: [shorturl.at/mwzCK](http://shorturl.at/mwzCK)

52 წარწერები ბიულეტენებზე [ფოტო], ნეტგაზეთი, 2018 წლის 29 ნოემბერი; ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/324654/>

# დანართი #3. ცესკოს მიერ საკრებულოების პირველი სხდომების მოწვევის დეტალური ანალიზი

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს ცესკო არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში.<sup>53</sup>

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებზე შედეგებს საბოლოოდ საოლქო საარჩევნო კომისიები აჯამებენ<sup>54</sup> (გარდა თბილისისა) და არა ცესკო,<sup>55</sup> შესაბამისად, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც პირველივე ტურში არჩეული კანდიდატები გამოვლინდნენ და მეორე ტურის დანიშვნის საჭიროება არ გამხდარა, მიიჩნევა, რომ შედეგები საბოლოოდ 2021 წლის 16 ოქტომბერს შეჯამდა.<sup>56</sup> კანონის მიხედვით, ცესკოს ასეთ მუნიციპალიტეტებში 30 დღის ათვლა სწორედ ამ შემთხვევითი ოქმების მიღების მომენტიდან უნდა დაეწყო და საკრებულოს პირველი სხდომები უფრო ადრე მოეწვია, ვიდრე სხვა მუნიციპალიტეტებში.

აღნიშნულ პოზიციას წლების მანძილზე თავად ცესკოც იზიარებდა და კანონს ამგვარ განმარტებას იყენებდა. მაგალითისათვის, 2017 წლის 21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ცესკომ საკრებულოს პირველი სხდომები რამდენიმე ნაწილად ჩაიშინა, ისე, რომ კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში არჩევნების საბოლოოდ შეჯამებიდან 30 დღიანი ვადა დარღვეული არ ყოფილა.<sup>57</sup> იგივე მოხდა 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგაც.<sup>58</sup> 2014 წელს ცესკო კონკრეტულ მუნიციპალიტეტში მერის/გამგებლის მეორე ტურის შედეგებსაც კი არ დალოდებია, ისე ჩათვალა საბოლოოდ შეჯამებულად საკრებულოს პროპორციული და მაჟორიტარული წესით ჩატარებული არჩევნები და მოიწვია საკრებულოს პირველი სხდომები. მაგალითად, ფოთის მუნიციპალიტეტში საოლქო საარჩევნო კომისიამ საკრებულოს არჩევნები 2014 წლის 25 ივნისს შეაჯამა,<sup>59</sup> ამავე მუნიციპალიტეტში ჩაიშინა 15 ივლისს მერის არჩევნების მეორე ტური, თუმცა ცესკო არ დალოდებია მე-2 ტურის შედეგების შეჯამებას და ამ მუნიციპალიტეტში საკრებულოს პირველი სხდომები 14 ივლისს, მეორე ტურამდე მოიწვია.<sup>60</sup>

2021 წელს ცესკომ წინა წლებისგან განსხვავებული პრაქტიკა დაადგინა. ამჯერად, ცესკომ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ მუნიციპალიტეტებში პირველივე ტურში გაირკვა საბოლოო შედეგები, 30 დღის ვადაში არ მოიწვია საკრებულოს პირველის სხდომები, რის შედეგადაც, ამ მუნიციპალიტეტებში ახლად არჩეული საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობა დროულად ვერ მოხდა. ცესკომ 30 დღიანი ვადა მას შემდეგ აითვალა, რაც მე-2

53 საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის 151-ე მუხლი

54 საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

55 იქვე.

56 თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების I ტურის საოლქო საარჩევნო კომისიების შემთხვევითი ოქმები; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KDIFZh>

57 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 13 ნოემბრის N284/2017 განკარგულება; ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/ZYUwYjx>

58 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლის 3 ივლისის N 264/2014 განკარგულება; ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/bYUwM9w>

59 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიების არჩევნების შედეგების შემთხვევითი ოქმები - პროპორციული; ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/vYUevOq>

60 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლის 3 ივლისის N 264/2014 განკარგულება; ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/bYUwM9w>

ტურის შემდეგ შედეგები ყველა მუნიციპალიტეტში შეჯამდა, რაც კანონის დარღვევად უნდა შეფასდეს.

ცესკოს ქმედება, ასევე, პრობლემური იყო იმდენად, რამდენადაც იგი პოლიტიკური მიკერძობების აღქმას აჩენდა. საკრებულოს პირველი სხდომების მოწვევა პირდაპირ არის დაკავშირებული ახლად არჩეული საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობასთან. საინტერესოა, რომ 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების შედეგად სახელისუფლო პარტიამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მუნიციპალიტეტების გარკვეულ ნაწილში უმრავლესობა ვერ მოიპოვა, შესაბამისად, მას მნიშვნელოვანი გადანყვეტილებების მისაღებად საკმარისი ხმები არ ჰქონდა. ერთ-ერთი ასეთი გადანყვეტილება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიღებაა. თუ საკრებულო საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 3 თვის ვადაში ვერ მიიღებს ახალ ბიუჯეტს, ახლადარჩეულ საკრებულოსა და მერს უფლებამოსილება ვადამდე შეუნწყდება და შესაბამის მუნიციპალიტეტში რიგგარეშე არჩევნები დაინიშნება.

სავარაუდოდ, ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რადგან ახალი მოწვევის საკრებულო ვერ შეძლებდა წლიური ბიუჯეტის დამტკიცებას და საჭირო გახდებოდა ხელახალი არჩევნების ჩატარება, გარკვეულმა მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის ნაჩქარევად მიღების პროცესი დაიწყო. ეს პროცესი სწორედ იმ მუნიციპალიტეტებში დაიწყო, სადაც პარტიას „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ უმრავლესობა არ აქვს.<sup>61</sup> საბოლოოდ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში 2022 წლის ბიუჯეტი დაჩქარებულად, 2017 წლის მოწვევის საკრებულოების წევრების მიერ დამტკიცდა.<sup>62</sup>

ამ ეჭვს ადასტურებს კიდევ ერთი გარემოება: მაშინ როდესაც არჩევნების მე-2 ტურის შედეგები 10-13 ნოემბერს შეჯამდა, გაუგებარია, რატომ მოიწვია ცესკომ სხდომა ასე დაგვიანებით 25 ნოემბერს, რომელზეც საკრებულოს პირველი სხდომების თარიღი უნდა განესაზღვრა. სწორედ ნოემბრის ბოლოსთვის ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ძველი მოწვევის საკრებულოებმა უკვე მოასწრეს წლიური ბიუჯეტების ნაჩქარევად განხილვა და დამტკიცება.

შედარებისათვის, 2017 წელს თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტური 21 ოქტომბერს, ხოლო მეორე - 12 ნოემბერს გაიმართა. ცესკომ არათუ შედეგების საბოლოოდ შეჯამებიდან, არამედ არჩევნების მეორე ტურიდან მალევე 14 და 20 ნოემბერს ჩანიშნა საკრებულოს პირველი სხდომები.

61 რუსთავის, ბუგდიდის, ჩხორონყუს, სენაკის და მარტვილის მუნიციპალიტეტები  
62 „როგორ დაამტკიცა ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მოწვევის საკრებულომ 2022 წლის ბიუჯეტი“, FactCheck, 2021 წლის 29 ნოემბერი; ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/1OR4V5w>

## 1. საარჩევნო კოდექსში შეტანილი პროლეტური სვლილებები

2021 წლის 28 ივნისის ცვლილებებით, შეიქმნა შესაძლებლობა ცესკოს თავმჯდომარის და პროფესიული წევრების არჩევის პროცესში ერთზე მეტი პარტია ყოფილიყო ჩაბმული და კონსენსუსით მომხდარიყო კანდიდატებზე შეთანხმება. ცესკოს თავმჯდომარეს და პროფესიული ნიშნით დასანიშნ წევრებს პარლამენტი ირჩევს სრული შემადგენლობის 2/3-ით (100 ხმა). არსებული პოლიტიკური კონფიგურაციის გათვალისწინებით, ეს კვორუმი გამორიცხავდა მათი ერთი პარტიის მიერ არჩევას, რაც აქამდე ხდებოდა, და მოითხოვდა საპარლამენტო პარტიების მხრიდან კანდიდატებზე შეთანხმებას.

კანონის მიზანია, რაც შეიძლება მაღალი კვორუმით იქნეს არჩეული ცესკოს თავმჯდომარე/წევრი, თუმცა გასათვალისწინებელია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ასეთი კვორუმის შეკრება შეუძლებელი ხდება. ამ შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს ე.წ. პოლიტიკური ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმს: თუ არც ერთ კანდიდატს პარლამენტის 2/3-ის მხარდაჭერა არ ექნება, იგივე კანდიდატებს კენჭი ხელახლა უნდა ეყაროს პირველი კენჭისყრიდან არაუადრეს 4 კვირის შემდეგ. ამ შემთხვევაშიც ცესკოს წევრის ასარჩევად კვლავ პარლამენტის 2/3-ის მხარდაჭერაა საჭირო, ხოლო თუ ისევ არ მოგროვდება საკმარისი ხმები, კვლავ არაუადრეს 4 კვირის შემდეგ ამჯერად უკვე პარლამენტის 3/5-ის (90 ხმა) მხარდაჭერა იქნება საკმარისი. ეს მცდელობაც თუ უშედეგო გამოდგება, არაუადრეს 4 კვირის შემდეგ პარლამენტს უკვე უბრალო უმრავლესობის (76 ხმა) მხარდაჭერით შეეძლება ცესკოს წევრის დანიშვნა.

მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის, რომ მხოლოდ 2/3-ით (100 ხმით) არჩეული კანდიდატი ინიშნება სრული ვადით — 5 წლით, დანარჩენ შემთხვევაში მისი უფლებამოსილების ვადა 6 თვეა.

თუმცა, ამ ცვლილებებში ერთჯერადად გათვალისწინებულ იქნა დროებითი რეგულაცია, რომელიც ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების პარლამენტის მიერ არჩევის წესს და ვადებს შეეხება,<sup>63</sup> კერძოდ კი, ამ პროცესში ჩაიღო ე.წ. პოლიტიკური ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმი. როგორც ზემოთ აღვწერეთ, ცესკოს პროფესიული წევრის 2/3-ით არჩევის შეუძლებლობის შემთხვევაში, მას პარლამენტის 3/5 ამტკიცებს, ხოლო თუ ეს კვორუმიც ვერ შეგროვდა, ცესკოს წევრს უმრავლესობა ირჩევს. თითოეულ კენჭისყრას შორის პერიოდი არანაკლებ 4 კვირა უნდა იყოს. თუმცა, ერთჯერადად, მხოლოდ მოახლოებული ადგილობრივი არჩევნებისთვის ყოველ კენჭისყრას შორის სავალდებულო მინიმალური ვადა 4 კვირიდან 1 კვირამდე შემცირდა,<sup>64</sup> რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა პარტიებს შორის კომპრომისის მიღწევის სივრცე და საპარლამენტო უმრავლესობას, ფაქტობრივად, საშუალება მისცა ოპოზიციის თანხმობის გარეშე, მარტივად აერჩია მისთვის მისაღები კანდიდატი.

63 დროებითი რეგულაციები მოცემულია როგორც საარჩევნო კოდექსის 196<sup>1</sup> მუხლში ასევე პარლამენტის რეგლამენტის 228<sup>2</sup>-ე მუხლში.

64 პარლამენტის რეგლამენტის 228<sup>2</sup>-ე მუხლის, მე-2 პუნქტი

ვენეციის კომისიამ ბემოაღნიშნულ დროებითი რეგულაცია ჯერ კიდევ კანონპროექტის ეტაპზე შეაფასა უარყოფითად, 18 ივნისის დასკვნაში კი კომისიამ აღნიშნა: „უნდა გადაიხედოს გარდამავალ პერიოდში, კენჭისყრის რაუნდებს შორის არსებული 4 კვირიანი პერიოდის 1 კვირამდე შემცირება, რადგან ამით შესაძლოა შემცირდეს მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობა.“ გარდა ამისა, ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ „დროებითმა რეგულაციამ შესაძლოა რისკის ქვეშ დააყენოს რეფორმის წარმატება, რომლის მიზანიც დაბალანსებული საარჩევნო ადმინისტრაციისთვის გარანტიების შექმნაა.“<sup>65</sup>

პრაქტიკაში ეს მოლოდინი გამართლდა. ცესკოს სამივე ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატებიდან ვერც ერთმა ვერ შეძლო საპარლამენტო ოპოზიციის მხარდაჭერის მოპოვება და 2 აგვისტოს ისინი 6 თვის ვადით პარლამენტის უბრალო უმრავლესობით იქნენ არჩეული.

საკანონმდებლო რეფორმის ფარგლებში საარჩევნო კომისიებში პარტიების მიერ წევრების დანიშვნის წესიც შეიცვალა. კერძოდ, არაუმეტეს 9 პარტიას ნებისმიერ კომისიაში მხოლოდ ერთი წევრის დანიშვნის უფლება მიეცა. ამ უფლებით ის პარტია სარგებლობს, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში გადალახავს საარჩევნო ბარიერს. თუ ბარიერგადალახული პარტია 9-ზე მეტი აღმოჩნდება, ცესკოს წევრის დანიშვნისას უპირატესობა მიენიჭება იმ პარტიას, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში უფრო მეტი ხმა მიიღო. თუ ცესკოს დაკომპლექტების ეს წესი სამომავლოდაც შენარჩუნდა, პარტიების მიერ დასანიშნი წევრების რაოდენობა, შემდეგი საპარლამენტო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, 9-ზე ნაკლებიც შეიძლება იყოს, რითაც დაირღვევა პროფესიულ და პარტიულ წევრებს შორის ის ბალანსი, რაც ჩადებული იყო ამ ცვლილებებში.

ამ რეგულაციაშიც შევიდა ორი დროებითი ნორმა. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ 9-ზე მეტმა პარტიამ გადალახა საპარლამენტო საარჩევნო ბარიერი, საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნისას უპირატესობა მიენიჭება იმ პარტიას, რომელსაც უფრო მეტი სახელმწიფო დაფინანსება ეკუთვნის, განსხვავებით ზოგადი წესისა, როდესაც უპირატესობა ენიჭება იმ პარტიას, რომელმაც მეტი ხმა მიიღო არჩევნებზე.<sup>66</sup> ამ დროებითმა წესმა შექმნა შესაძლებლობა, რომ ბლოკის შემადგენლობაში შესულ ერთზე მეტ პარტიას მიეღო კომისიის წევრის დანიშვნის უფლება, ხოლო არჩევნებში ინდივიდუალურად მონაწილე ბარიერგადალახული პარტია საარჩევნო ადმინისტრაციაში წევრის დანიშვნის უფლების გარეშე დარჩენილიყო. სწორედ ამ ნორმის გამო, „საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ“ საარჩევნო კომისიებში წევრების დანიშვნის უფლება ვერ მიიღო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ეს დებულება უარყოფითად შეაფასა, ვინაიდან უფრო სამართლიანია, რომ კომისიებში წევრის დანიშვნის უფლების მოპოვება დამოკიდებული იყოს ამ პარტიის ამომრჩეველთა რაოდენობაზე. იქიდან გამომდინარე, რომ საარჩევნო ბლოკში შემავალი ცალკეული პარტიის დამსახურება ბლოკის მიერ მოპოვებულ ხმებზე არ არის გამომვადი, ამიტომ უკეთესი იქნებოდა საარჩევნო ბლოკს, ისევე როგორც სხვა სუბიექტებს, საარჩევნო კომისიებში მხოლოდ ერთი წევრის დანიშვნის უფლება ჰქონოდათ.

65 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW

66 საარჩევნო კოდექსის 196<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილი.



საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესში შესული მეორე დროებითი ნორმაც, ასევე, პრობლემური იყო და კონკრეტული პოლიტიკური პარტია დააზარალა. ამ ნორმის მიხედვით, პარტია კარგავდა საარჩევნო კომისიებში წევრის დანიშვნის უფლებას, თუ მის მიერ გაყვანილი ყველა პარლამენტარი, 2021 წლის 19 აპრილის მდგომარეობით, დატოვებდა პარტიას და სხვა პარტიაში გაწევრიანდებოდა. ასეთ შემთხვევაში ახალ პარტიას გადაეცემოდა კომისიის წევრების დანიშვნის უფლება.

ეს ჩანაწერი პირდაპირ მოერგო „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ შემთხვევას, შედეგად, პარტიამ დაკარგა საარჩევნო კომისიებში წევრის დანიშვნის უფლება და ის „ევროპელ სოციალისტებს“ გადაეცა. ეს პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო სიით პარლამენტში შესულმა წევრებმა დააფუძნეს.

ვენეციის კომისია, კანონპროექტის ადრეულ ეტაპზევე, უარყოფითად აფასებდა ორივე დროებით ნორმას და მიიჩნევდა, რომ ისინი უნდა გადაიხედოს.

## **2. პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსებასთან დაკავშირებით კანონში განხორციელებული ცვლილებები**

2021 წლის 22 ივნისს საქართველოს პარლამენტმა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონში შეიტანა ცვლილებები, რომლებიც 2022 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდება. ცვლილებების მიხედვით, პოლიტიკური პარტია კარგავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლებას, თუ ამ პარტიის წარდგენით არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა ნახევარს ან ნახევარზე მეტს ვადამდე შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება და შეუძლებელია მისი/მათი ადგილმონაცვლე იმდენი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობა, რომ აღნიშნული პარტიის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობა იმავე პარტიის მიერ მიღებული პარლამენტის წევრთა მანდატების ნახევარზე მეტი იყოს.

გარდა ამისა, პარტია შესაბამისი მომდევნო 6 კალენდარული თვის საბიუჯეტო დაფინანსებას ვერ მიიღებს, თუ მისი წარდგენით არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტი პარლამენტის შესაბამისი წინა მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომების ნახევარზე მეტს.<sup>67</sup>

მსგავსი შინაარსის ცვლილება საქართველოს პარლამენტში ჯერ კიდევ 2020 წლის 16 დეკემბერს დარეგისტრირდა მმართველი პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ დეპუტატების ინიციატივით.<sup>68</sup> ცვლილების პროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით 2020 წელს მიიღო, მაგრამ მოგვიანებით კანონპროექტი შესაფასებლად ვენეციის კომისიას და ეუთო/ოდირს გადაუგზავნა. მეორე მოსმენით საკითხის განხილვა მას შემდეგ იგეგმებოდა, რაც ეს ინსტიტუტები თავიანთ პოზიციას დააფიქსირებდნენ.<sup>69</sup> ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა საერთო დასკვნა 2021 წლის 20 მარტს გამოაქვეყნეს,

67 <https://info.parliament.ge/#law-drafting/21127>

68 საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PkPEOJ>

69 „ქართული ოცნება“ 2 სადავო კანონპროექტს ვენეციის კომისიას და ეუთო/ოდირს გადაუგზავნის, რუსთავი 2, 2020 წლის 23 დეკემბერი; ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/GxbZJ4C>

სადაც ცვლილებების შინაარსი ცალსახად და არაორაზროვნად არის გაკრიტიკებული.<sup>70</sup> მიუხედავად ამისა, პარლამენტმა ცვლილებები მაინც მიიღო და მასში მხოლოდ მცირე, უმნიშვნელო შესწორებები შეიტანა, ასევე გადაავადა მისი ამოქმედების წესი. ეუთო/ოდირის დასკვნას წინ უსწრებდა არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის, მათ შორის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კრიტიკული შეფასებაც.<sup>71</sup>

---

70 ON AMENDMENTS TO THE ELECTION CODE, THE LAW ON POLITICAL ASSOCIATIONS OF CITIZENS AND THE RULES OF PROCEDURE OF THE PARLIAMENT OF GEORGIA, EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) and OSCE OFFICE FOR DEMOCRATIC INSTITUTIONS AND HUMAN RIGHTS (OSCE/ODIHR), JOINT OPINION, CDL-AD(2021)008, Strasbourg, 20 March 2021; available: <https://cutt.ly/MxOaySK>

71 საარჩევნო და პოლიტიკური პარტიების კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები დემოკრატიულ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 28.12.2020.: <https://bit.ly/39CjxRb>

# დანართი #5. საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა საარჩევნო შეხვედრებისთვის მოზიდვების, ჩართვისა და სამსახურებრივი ნიშნით შიკრების შემთხვევები

23 ოქტომბერს „მთავარ არხზე“ გავიდა რეპორტაჟი<sup>72</sup>, რომელშიც ჩანდა, რომ **სამტრედიის და რუსთავის** საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელები, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენელთა დავალებით, ბაღების თანამშრომლებს ორგანიზებას უწევდნენ პარტიის მიერ თბილისში გასამართ აქციაზე წასასვლელად. გარდა ამ შემთხვევებისა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსა“ც მიაწოდეს ინფორმაცია რეგიონებიდან საბიუჯეტო ორგანიზაციების მობილიზების შემთხვევებზე, როდესაც მათ ხელმძღვანელები პირდაპირ თუ ირიბად სთხოვდნენ თბილისის აქციაზე დასწრებას.

2021 წლის 17 აგვისტოს **ამბროლაურის** მუნიციპალიტეტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატმა, ზვიად მხეიძემ საკუთარი „ფეისბუქ“ გვერდის მეშვეობით გაავრცელა ინფორმაცია,<sup>73</sup> რომ ის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისა და წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის წარმომადგენლებს შეხვდა. 2021 წლის 18 აგვისტოს კი იგი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, კულტურის, ხელოვნებისა და ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებს შეხვდა.<sup>74</sup>

ორივე შეხვედრის შინაარსი ნათლად მიუთითებდა, რომ იგი სააგიტაციო შინაარსის იყო. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ამ შემთხვევების შესახებ ამბროლაურის საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართა. კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება, თუმცა წარმოების ფარგლებში მხოლოდ შეხვედრაზე მყოფი ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი გამოიკითხა, ანუ ის პირები, რომლებიც პოტენციურად შესაძლოა სამართალდამრღვევები თავად ყოფილიყვნენ, რაც ვერ ჩაითვლება საქმის სათანადო გამოკვლევად. მათი ახსნა-განმარტების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიამ უარი თქვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.<sup>75</sup>

**სენაკის მუნიციპალიტეტის** მერობის კანდიდატმა, ვახტანგ გადელიამ საკუთარი „ფეისბუქ“ გვერდის მეშვეობით გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის 2021 წლის 18 აგვისტოს სენაკის საკრებულოს წევრობის კანდიდატებთან - საბა ოდიშარიასთან და ლევან უჩანეიშვილთან ერთად, იმყოფებოდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში და შეხვდა ექიმ - ეპიდემიოლოგებს.<sup>76</sup> მოგვიანებით, აღნიშნული პოსტი ვახტანგ გადელიას „ფეისბუქ“ გვერდზე წაიშალა და დღეს ხელმისაწვდომი აღარ არის.

ვახტანგ გადელიას „ფეისბუქ“ გვერდზე განთავსებული შეხვედრის სურათები ნათლად მიუთითებდა, რომ შეხვედრა სააგიტაციო შინაარსის იყო. აღნიშნულზე მეტყველებს ის

72 „მობილიზება დაშინებით და მოსყიდვით“, მთავარი არხი, 2021 წლის 23 ოქტომბერი; ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/1YUyhXk>

73 ზვიად მხეიძის „ფეისბუქ“ პოსტი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ssb4J6>

74 ზვიად მხეიძის „ფეისბუქ“ პოსტი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37UYVmm>

75 ამბროლაურის საოლქო საარჩევნო კომისიის წერილობითი უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kt5KCT>

76 ფოტო „ფეისბუქ“ გვერდიდან; ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/rEllAnc>

ფაქტიც, რომ მერობის კანდიდატი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის კანდიდატებთან ერთად იმყოფებოდა შეხვედრაზე.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ დამატებითი მტკიცებულებები და მოსაზრებები წარადგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელმაც არ გაითვალისწინა აღნიშნული ფაქტები და უარი თქვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.<sup>77</sup> საოლქო საარჩევნო კომისიის უარი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ სენაკის რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც არ დააკმაყოფილა საჩივარი.

15 აგვისტოს გავრცელდა ინფორმაცია,<sup>78</sup> რომ **ოზურგეთის** მუნიციპალიტეტში, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატი, ავთანდილ თალაკვაძე სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის შინაარსი და ფორმა ნათლად მიუთითებდა, რომ შეხვედრა სააგიტაციო შინაარსის იყო. მერობის კანდიდატი დამსწრე პირებს პარტიული დროშის ფონზე ხვდებოდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ამ შემთხვევის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართა. წარდგენილი საჩივრის საფუძველზე, საოლქო საარჩევნო კომისიამ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. როგორც კომისიის ადმინისტრაციული მასალებით ირკვევა, წარმოების პროცესში კომისიამ გამოკითხა მხოლოდ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე მერაბ ჭანუყვაძე მაშინ, როდესაც საჯაროდ გავრცელებული განცხადებით ირკვეოდა, რომ საქმესთან დაკავშირებით გარკვეულ ინფორმაციას ასევე ფლობდა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ერთ-ერთი წევრი გივი მიქანაძეც.

გივი მიქანაძე სპეციალური ბრიფინგით გამოეხმაურა აღნიშნულ საჩივარს და განაცხადა,<sup>79</sup> რომ საჩივარში დასახელებულ შეხვედრას, მათ შორის, ესწრებოდა საჯარო სამედიცინო დაწესებულების რამდენიმე წარმომადგენელიც. ამ ფაქტის შესახებ ორგანიზაციისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ საჩივრის წარდგენის შემდეგ და შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიას ინფორმაცია ამ ფაქტის შესახებ მიეწოდა საჯარო განხილვაზე, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ წარმომადგენელი ესწრებოდა. მიუხედავად ამისა, საოლქო საარჩევნო კომისიამ აღნიშნული ფაქტი არ გაითვალისწინა, არ გამოიკვლია ეს ინფორმაცია და მიიჩნია, რომ შეხვედრას ესწრებოდნენ მხოლოდ კერძო დაწესებულების წარმომადგენლები, შესაბამისად უარი თქვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე.

საოლქო საარჩევნო კომისიის უარი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლო სხდომაზე შეხვედრის მონაწილე ის პირები დაიბარეს და გამოკითხეს, ვისი იდენტიფიცირებაც შესაძლებელი გახდა. მათ მიერ დამატებით გაჟღერებული ინფორმაციით არ ირკვეოდა არც შეხვედრის

77 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის წერილობითი უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CxZcch>

78 „ავთანდილ თალაკვაძე სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა“, ინტერპრესნიუსი, 2021 წლის 15 აგვისტო; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37Xh9nu>

79 „ქართული ოცნება“ ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მოუწოდებს, საარჩევნო ღონისძიებებს მეტი ყურადღებით დააკვირდნენ და არ დაუშვან მოვლენების არასწორი ინტერპრეტირება“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, 2021 წლის 23 აგვისტო; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nUIQ9y>

ორგანიზატორის ვინაობა, რადგან მონშეები აცხადებდნენ, რომ მათ არ ახსოვდათ, ვინ დაურეკაშეხვედრისთაობაზედაასევევერმოხერხდადამატებითიპირებისიდენტიფიცირება, რომლებიც შესაძლებელია არ ყოფილიყვნენ კერძო უწყებაში დასაქმებულები. ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი.

11 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციით, **ოზურგეთის** მოქმედმა მერმა და ამავე დროს მერობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა, კონსტანტინე შარაშენიძემ, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მერიის მოქმედი თანამშრომლები შეკრიბა. ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით გასული სიუჟეტიდან<sup>80</sup> ირკვევა, რომ შეხვედრაზე დამსწრე პირები თავად ადასტურებენ, რომ მერიაში არიან დასაქმებულები. გარდა ამისა, ინტერვიუში თავად კონსტანტინე შარაშენიძე ადასტურებს, რომ შეხვედრის მიზანი „მერობის კანდიდატის პოზიციის მოსმენა“ იყო, ასევე, იგი ადასტურებს, რომ შეხვედრას მისი თანამშრომლები ესწრებოდნენ. აღნიშნული შემთხვევა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ საოლქო საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრა, სარჩელი დაკმაყოფილდა.

---

80 „წინასაარჩევნო შეხვედრა კანონდარღვევით - კონსტანტინე შარაშენიძემ მერიის თანამშრომლების ნაწილი წინა საარჩევნო კამპანიის ფარგლებში შეკრიბა“, ტელეკომპანია „იმედი“, 2021 წლის 11 სექტემბერი; ხელმისაწვდომია: [shorturl.at/lyUV6](https://shorturl.at/lyUV6)

# ქანაიტი # 6. სენსიალური და აღზილოზივი ხელისუფლების საარჩევნო მოტივირებული პროგრამებისა და ინიციატივების სია

- 27 ოქტომბერს თბილისის მოქმედმა მერმა (და მერობის კანდიდატმა) კახა კალაძემ თბილისის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ სამგორის რაიონში 57 ოჯახს სიმბოლურ ფასად გადაეცა საცხოვრებელი ფართები;<sup>81</sup>
- 18 ოქტომბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ მთავრობის სხდომის შემდეგ განაცხადა, რომ მთავრობა 198 დევნილ პირს სიმბოლურ ფასად სასოფლო სამეურნეო მიწას გადასცემს;<sup>82</sup>
- 17 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა განაცხადა, რომ ვეტერანებისთვის ყოველთვიური დანამატი - 22 ლარი გადაიხედება და 2022 წლის იანვრიდან 5-ჯერ გაიზრდება;<sup>83</sup>
- 12 ოქტომბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ განაცხადა, რომ 2020 წლის 21 მარტიდან 2021 წლის 21 მარტის ჩათვლით პერიოდში ცალკეულ სუბიექტებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეპატიებათ იჯარის და ქირის გადასახადი, ასევე ამ პერიოდში გადაუხდელობით ან დაგვიანებით გადახდით დარიცხული ჯარიმა, სანქცია და საურავი;<sup>84</sup>
- 6 ოქტომბერს თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა,<sup>85</sup> რომ 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალური საწარმოების მოიჯარეები საიჯარო გადასახდელისაგან გათავისუფლდებიან, ასევე მათ პირდაპირი წესით ორი წლით გაუხანგრძლივდებათ საიჯარო ვადები. მსგავსი დაპირება თბილისის მერის მოადგილემ, ირაკლი ხმალაძე ჯერ კიდევ 22 სექტემბერს გასცა<sup>86</sup> მისი თქმით, თბილისის მუნიციპალიტეტის 700-მდე მოიჯარე სრულად გათავისუფლდება 2021-2022 წლებში გადასახდელი 11 მილიონამდე ლარის საიჯარო ქირისაგან. 160-მდე ღია კაფეს მფლობელი კი გათავისუფლდება თბილისის მუნიციპალიტეტისთვის 2022 წლის ბოლომდე გადასახდელი 800 000 ლარის იჯარის გადასახადისგან;
- 6 ოქტომბერს თბილისის მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, სხვადასხვა მისამართზე

81 „თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა“, tbilisi.gov.ge, 27.10.2021, <https://tbilisi.gov.ge/news/12160>

82 „ნათია თურნავა - დევნილებისთვის 1 ლარად სასოფლო სამეურნეო მიწის გადაცემა არის გზა, რომ დევნილმა მოსახლეობამ გააფართოვოს თავისი საქმიანობა და მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო პროგრამებში“, interpressnews.ge, 10.10.2021. <https://bit.ly/3DFE1FI>

83 „პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ვეტერანებისთვის იანვრიდან ყოველთვიური 22 - ლარიანი დანამატი 5-ჯერ გაიზრდება“, interpressnews.ge, 17.10.2021, <https://bit.ly/3EH9jx2>

84 „სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს 2020 წლის 21 მარტიდან 2021 წლის 21 მარტის პერიოდში დარიცხული იჯარის და ქირის გადასახადი, ასევე გადაუხდელობის გამო გამოწერილი ჯარიმები ეპატიებათ“, interpressnews.ge, 12.10.2021, <https://bit.ly/3DHytU5>

85 „თბილისის მერიაში დედაქალაქის მთავრობის სხდომა გაიმართა“, tbilisi.gov.ge, 6.10.2021, <https://tbilisi.gov.ge/news/12078>

86 „ირაკლი ხმალაძე: 2022 წლის ბოლომდე მუნიციპალიტეტის 700-მდე მოიჯარე საიჯარო ქირისგან, ხოლო 160-მდე ღია კაფეს მფლობელი იჯარის გადასახადისგან გათავისუფლდება“, imedinews.ge, 22.09.2021, <https://bit.ly/3EFSxOV>

მცხოვრებ 66 ოჯახს, რომლებსაც წლების განმავლობაში ფართების დაკანონების პრობლემა აწუხებდათ, საცხოვრებლები სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად გადაეცემათ;<sup>87</sup>

- 4 ოქტომბერს მთავრობის განკარგულებით, თბილისში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთსა და სამეგრელოში ჯამში 258 დევნილ ოჯახს მათ სარგებლობაში არსებული 294 უძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცა;<sup>88</sup>
- 8 სექტემბერს თბილისის მერმა და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატმა, კახა კალაძემ საკუთრების დამადასტურებელი მონუმბები 55 ოჯახს გადასცა.<sup>89</sup> საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად სამგორის რაიონში მცხოვრებ ოჯახებს დაუკანონდათ;
- 31 აგვისტოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა განაცხადა,<sup>90</sup> რომ 500-მდე სამხედრო მოსამსახურის ოჯახს გადაეცემა საცხოვრებელი ბინა. მანვე, ერთი დღით ადრე, 30 აგვისტოს დააანონსა,<sup>91</sup> რომ 300-მდე დევნილ ოჯახს მათივე სარგებლობაში არსებული ფართი სიმბოლურ ფასად გადაეცემოდა;
- 27 აგვისტოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ნათია თურნავას თქმით,<sup>92</sup> ფოთში, სანაპირო დაცვის ბაზასთან მცხოვრებ 100-მდე ოჯახს, პრემიერ-მინისტრის დავალების შესაბამისად, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფენ უსაფრთხო ადგილზე საცხოვრებელი სახლებით;
- 11 აგვისტოს კახა კალაძემ 36 ოჯახს საკუთრების დამადასტურებელი მონუმბები გადასცა.<sup>93</sup> საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად გლდანის რაიონში მცხოვრებ ოჯახებს დაუკანონდათ;
- 26 ივლისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის, ლევან დავითაშვილის განცხადებით,<sup>94</sup> სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამაზე ბიუჯეტიდან 50 მლნ ლარი გამოიყოფოდა და პროგრამაზე განაცხადების მიღება 1 სექტემბრიდან დაიწყებოდა;

87 „თბილისის მერიაში დედაქალაქის მთავრობის სხდომა გაიმართა“, [tbilisi.gov.ge](https://tbilisi.gov.ge/news/12078), 6.10.2021, <https://tbilisi.gov.ge/news/12078>

88 „პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის სხდომა გაიმართა“, მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური, 4.10.2021, <https://bit.ly/3dBcZED>

89 „თბილისის მერმა სამგორის რაიონში მცხოვრებ 55 ოჯახს საკუთრების დამადასტურებელი მონუმბები გადასცა“, თბილისის მერია, 8.09.2021, <https://bit.ly/3ktMpRU>

90 „ირაკლი ლარიბაშვილი: 500-მდე სამხედროს ოჯახს გადავცემთ ბინებს, ეს იყო 2007 წელს აღებული ვალდებულება, რომლის შესრულება ჩვენი პოლიტიკური გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო“, [imedineews.ge](https://www.imedinews.ge), 31.08.2021, <https://bit.ly/3EE3QaG>

91 „300-მდე დევნილ ოჯახს გადავცემთ და დავუკანონებთ ფართს“ - ლარიბაშვილი“, [publika.ge](https://www.publika.ge), 30.08.2021, <https://bit.ly/2W0LKy9>

92 იხ. საქართველოს მთავრობის „ფეისბუქის“ გვერდი, 21.07.2021, <https://www.facebook.com/watch/?v=225846216138601>

93 „თბილისის მერმა გლდანის რაიონში მცხოვრებ 36 ოჯახს საკუთრების დამადასტურებელი მონუმბები გადასცა“, [1tv.ge](https://www.1tv.ge), 11.08.2021, <https://bit.ly/3zwOxfY>

94 „ლევან დავითაშვილის განცხადებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამაზე განაცხადების მიღება 1-ელი სექტემბრიდან დაიწყება“, [interpressnews.ge](https://www.interpressnews.ge), 26.07.2021, <https://bit.ly/3kABiad>

- 22 ივლისს პარლამენტმა სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც, საშემოდგომო რთვლის დაფინანსება 38 მლნ ლარიდან 138 მლნ-მდე გაიზარდა;<sup>95</sup>
- 6 ივლისს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ იწყება ახალი პროგრამა,<sup>96</sup> რომელიც გულისხმობს საცხოვრებელი ბინის შეძენის ხელშეწყობის მიზნით ოჯახებისთვის ახალშეძენილ შვილზე იპოთეკური სესხის თანადაფინანსებას. პროგრამასთან დაკავშირებული დადგენილება მთავრობამ 2 აგვისტოს, წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებამდე ერთი დღით ადრე მიიღო, დადგენილებით პროგრამის ამოქმედება 1 სექტემბრიდან დაიგეგმა;<sup>97</sup>
- 24 ივნისს პრემიერ-მინისტრმა გააჟღერა ინიციატივა, რომლის თანახმადაც, მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს იზოლაციის, კარანტინის და პირბადის ტარების წესის დარღვევის გამო დაკისრებული დაახლოებით 76 მლნ ლარის გადაუხდელი ჯარიმები ჩამოენერებათ.<sup>98</sup> პარლამენტმა შესაბამისი კანონები 7 სექტემბერს მიიღო;<sup>99</sup>
- 23 ივნისს ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელმა და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატმა, არჩილ ჩიქოვანმა ბათუმში მცხოვრებ 15 მრავალშვილიან ოჯახს ბინები საკუთრებაში გადასცა;<sup>100</sup>
- 16 ივნისს ქუთაისსა და ბუგდიდში ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაზა ლომინაძემ და ადგილობრივი ხელისუფლების წევრებმა დევნილ ვეტერანთა 60 ოჯახს ახალაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართები გადასცეს.<sup>101</sup> დამატებით, დევნილ ვეტერანთა 100-მდე ოჯახმა ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება მიიღო, რომლის თანახმადაც, ისინი საცხოვრებელ ფართებს ქუთაისსა და ბუგდიდში უახლოეს მომავალში უპირობოდ მიიღებენ.

95 „მთავრობა რთვლის დაფინანსებას 100 მლნ ლარით ზრდის“. droa.ge, 22.07.2021, <https://droa.ge/?p=109276>

96 „ოჯახებისთვის საცხოვრებელი ბინების შეძენის ხელშეწყობის მიზნით, ოჯახი ახალშეძენილ შვილზე იპოთეკური სესხის თანადაფინანსებით ისარგებლებს“, საქართველოს მთავრობა, 6.07.2021, <https://bit.ly/3lJr32E>

97 „სუბსიდირებული იპოთეკური სესხის“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს №388 დადგენილება, <https://cutt.ly/RI1h4N3>

98 „ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც შემლუდვების გამო დაჯარიმდნენ, ჯარიმებისგან გათავისუფლდებიან“, interpressnews.ge, 24.06.2021, <https://bit.ly/3EF9ucl>

99 იხ. კანონები „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“, <https://bit.ly/2XE7YGJ> და „ამნისტიის შესახებ“, <https://bit.ly/3AyBAU1>

100 „ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჩიქოვანმა ბათუმში მცხოვრებ 15 მრავალშვილიან ოჯახს ბინები გადასცა“, ipress.ge, 23.06.2021, <https://bit.ly/2W0R7gN>

101 „დევნილ ვეტერანთა 60 ოჯახს ბინა გადაეცა“, <http://imereti.gov.ge/>, 16.06.2021, <http://imereti.gov.ge/geo/news/show/7/1806>